ბატონო ტარიელ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ უზენაეს შემოქმედს მარადიული ტანჯვისთვის არ შეუქმნია ადამიანი, არამედ შექმნა „სხატად თვისად“, ანუ შანის მისცა განდმორთობამდე ამაღლებისა. თუ გიფიქრიათ ოდესმე: რომელი სჯობია, ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენას ნაგავი მიაყროთ და დაფაროთ, ან მთლად მოუღოთ ბოლო, რომ ღვთისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტოთ და სამარადისო ტანჯვისთვის გასწოროთ მთელი კაცობრიობა, თუ თქვენც შეისწავლოთ, სხვებსაც მოუწოდოთ შეისწავლონ, რომ გაინათონ ღვთისკენ მიმავალი, მრავალი მძიმე განსაცდელგასაწვდელი ვიწრო ბილიკი? მინდა ავღნიშნო, რომ ყველა ენა ღვთის ნებითაა გაჩენილი და ნებისმიერი ენის პატივისცემა ღვთიური საქმეა.

ბატონო ტარიელ, გთხოვთ გულწრფელად მიპასუხოთ: ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ვისთვისაა უფრო მშობლიური, იმისთვის, ვისაც არ შეუძლია, ან არ სურს შეიცნოს რის საფუძველზე მიიღეს ეროვნული წარმოშობის სიტყვებმა ის მნიშვნელობანი, რა მნიშვნელობითაც ის დღემდე იხმარება, თუ იმისთვის, ვინც ამას სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე წვდუბა?

მაშ, ვის ამოდრავებს სეპარატისტული მიზნები?

პასუხი ჭეშმარიტ ქართველთათვის მიმინდვია, ხოლო თქვენ, ბატონო ტარიელ, თუ, მართლაც, ქართველი ბრძანდებით და გიყვართ ქართველი ერი და ქართული ენა, რომელმაც მეცნიერი გაგხადათ, თურქულისა და სხვა ენების შესწავლა კარგია, მაგრამ სჯობია, საფუძვლიანად შეისწავლოთ დღემდე ცოცხალი პროქართული ენა და მოგვეხსენიებთ პრობლემას. თქვენი პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ხეირიანად არ იცით ე.წ. მეგრული ენა და არც გსურთ იცოდეთ, ამიტომ, პირდაპირ უნდა გითხროთ, გეჩინდება ეტვი თქვენს ქართველობაში.

ქართული წერილობითი ძეგლების („შუშანიკის წამება“, „ბოლნისის მონასტრის კედელზე წარწერა“, „ცხრა ძმა კოლაელთა“, იოანე პეტრიწის შრომები და სხვა ძეგლები) ურთიერთ შედარება და ანალიზი საუკუნის ხდის, რომ ისინი (გარდა პეტრიწის შრომებისა) დაწერილი იყოს იმ ხანაში, როგორც ჩვენ გვასწავლეს და დღესაც ასწავლიან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ და ყველა იმ ძეგლთა თხრობის ენა, რომლებიც მიხნეულია მე-11 საუკუნეზე ადრე დაწერილად, ისეთია, რომ ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც ყველაფერი გასაგებია; ამიტომ უფრო სარწმუნოა, ეს ძეგლები ნათარგმნი

იყოს იბერიულიდან არა უადრეს მე-12 საუკუნისა; მონასტერთა კედლებზე და იატაკზე დატანებული წარწერები, ასევე, მე-12 საუკუნის შემდეგაა ჩაყენებული; დღემდე რომ შემორჩენილი არ არის იბერიული წერილობითი ძეგლები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებულა იბერიული ენა და მწერლობა; მისი მოსპობა არ გაუჭირდებოდა, იბერიის დაცემის შემდეგ, ქვეყნის შიგნით მომრავლებულ მტრებს; იბერიული ენისა და მწერლობის არსებობას ბრწვინვალედ ადასტურებს თვით იბერიული ენა და მისი დამწერლობანი – ულამაზესი მხედრული და უნიკალური ასომთავრული; ხოლო ყველაფერი ამის აღიარება რომ უჭირთ ქართველ მეცნიერებს, ეს ცოტაა ამ ჭეშმარიტების უარყოფისათვის; და ბოლოს, ნუ დამიწევთ დევნას მკაცრი პირდაპირობისათვის; მე, დამოუკიდებელ მკვლევარს, ამის გაკეთება უზენაესი შემოქმედის ნებითა და კარნახით დამეკისრა, რამეთუ მისი ნების გარეშე არაფერი ხდება; რომ არა დამოუკიდებელი, მეც, ალბათ, სხვებივით განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაკეტილი აღმოვჩნდებოდი და, შეიძლებოდა, ყველაფერი ამის გაუცხადებლობა გამხდარიყო ე.წ. ქართველი ერის, საბოლოოდ, გაქრობის მიზეზი, ხოლო სიყალბეთა რაინდულმა აღიარებამ და მონანიებამ, გვიქრობთ, უნდა გადაარჩინოს არა მარტო ქართული ერი, არამედ მთლიანად ადამის მოღვაწე.

დედანში ქართულ ენაზე ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უძველესი ძეგლი – ესაა იოანე პეტრიწის „განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, რომლის ბოლოსიტყვაობაში აქ ფილოსოფიური არაფერია, უბრალოდ, გადმოცემულია იმდროინდელ ქართულ ენაზე ქართული ენის შესაძლებლობა და განვითარების დონე) ვკითხულობთ: „... არა გვც რული სარეცეთა მომღორებისათა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არამომხედნა მე გონებითან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაა არდ(ა) ენაცვლებს; და ადვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობდა გაღმკსებული და მესხუე მდაბრიონთაგან...“ (იხ. აღნ. ნაშრომი, ნ. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ. 220). წარმოდგენილი ტექსტის უკეთ გაგებისათვის მოაქვს პროფ. დამანა მელიქიშვილისეული თარგმანი: „... „არა გვც რული“ ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედა მე გონებითა ცისკარმა ღღისაქენ, რომელსაც სინელებ აღარ ენაცვლება და ადვიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბრიონთაგან (მიდმოობდა ენისად გაღმკსებული და მესხუე მდაბრიონთაგან)...“ (იხ. იოანე პეტრიწი, განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის <<ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა>>, დამანა მელიქიშვილის რედაქციით, 1999, გვ. 214).

აქედან ნათლად ჩანს, რომ იოანე პეტრიწი წარმოადგენს ქართული ენის პირველ რეფორმატორს, რომელსაც არაფერი დაუშურებია, რომ თავისი გვარ-ტომისათვის შექმნა „სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბრიონთაგან“ ენა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, თვით იოანე პეტრიწის ენაც, თითქმის, 50% გაუგებარია ძველი ქართული ენის არასპეციალისტისათვის. ამიტომაც დასჭირდა მას თარგმნა.

ახლა წარმოვიდგინოთ ქართული ენის დონე პეტრიწამდე, ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008 წ.) შემდეგ, როცა ქართული ენა იქნა მიღებული სახელმწიფო ენად. თუ რატომ იქნა დაწუნებული შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის მქონე იბერიული ენა და სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა მანამდე მდაბიოთა ენად შემორჩენილ ქართულ ენას, ამაზე ქვემოთ.

მანამდე მივაქციოთ ყურადღება, „შუშანიკის წამებას“, დაწერილს ქართულ ენაზე (ეკვ. თაყაიშვილს იგი მიაჩნია იბერიულიდან თარგმნილად) და ბოლნისის მონასტრის წარწერას, რომლებიც მიხნეულია მე-5 საუკუნის ძეგლებად, არაფერია გაუგებარი ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც, ხოლო უგანათლებულესი პეტრიწის (1050-1125) ენა თარგმნას მოთხოვს. რაშია საქმე? ექვსი საუკუნის შემდეგ, მით უმეტეს, იბერიის ქვეშევრდომობიდან „თავდაღწევისა“ და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის მოპოვების

შემდეგ, ნაცვლად განვითარებისა, გაუხეშდა ენა?

თუ ქართული ენა ფარნავაზის დროიდან ფუნქციონირებდა, როგორც სახელმწიფო ენა და ქვეშევრდომი ენის სტატუსით შეზღუდული არ იყო, პეტრიწამდე, თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში, რატომ დარჩა მდაბიოთა ენად, როცა შესძლებია ერთ საუკუნეში (პეტრიწიდან რუსთაველამდე) კლასიკურ ენად ქცეულიყო? მაგრამ ქართლურ ენას, ქართლის მიერ სამეფო სტატუსის მიღებამდე (899 წ., პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი) სახელმწიფო ენისა და, ეგრისისა და ქართლის გაერთიანებამდე, ერთიანი სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია. ეს სომხეთის აგენტმა – რუის-ურბნისის ეპისკოპოსმა (შეიძლება, შემდგომ, დავით აღმაშენებლის მიერ გაკრეკილმა) – ლეონტი მროველმა შეთხზა ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეა. რომლისთვის პროტოტიპად გამოიყენა თეოდოს II-ბაგრატ III ურთიერთობა და მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედში (978 წ.) მომხდარი სინამდვილე, მხატვრულ – ცინიკურად შეფერადებული, ძვ. წ. აღ-ის მე-3 საუკუნეში გაღივანა, თორემ უსსოვარი დროიდან იბერიის საბოლოოდ დაცემამდე, ხანდახან დაპყრობილი, მაგრამ იბერია ერთიანი იყო და არავითარი ქუჯი არ ყოფილა და არავითარი ქართლური ენა სახელმწიფო ენის სტატუსში არ არსებულა, სახელმწიფო ენა იბერიული იყო, თავისი უნიკალური და კაცობრიობის პირველი დამწერლობით. ლეონტი მროველი ის სომხოფილია, რომლის ხელში რუის-ურბნისის საეპისკოპოსო გარყვნილების ბუდედ იქცა და, სწორედ, რუის-ურბნისის ისტორიული კრების მოწვევის აუცილებლობა და მკაცრი განაჩენის მიღება გამოიწვია. მართალია, ეს ჩემი ვარაუდია, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული სრული ჭეშმარიტება იყოს.

ბარემ გაცდეს ნავსი და აქვე პირდაპირ ვთქვათ, რომ იოანე ზოსიმეს „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისა“ დედანში ქართულ ენაზე არ დაწერილა. ის ხომ აღიარებს, მე მხოლოდ გადმოვჩნბეო (გადმოვწერეთ). ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართულად წოდებული ენა არაა დროს არავის დაუწუნებია, რადგან 899 წლამდე (ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე) ის სახელმწიფო ენა არ ყოფილა, ხოლო დაწუნებული იქნა შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის მქონე, საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელის (იხ. მაშინტი და ცირა ძაძაძეების შრომები) ამსახველი და კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი აღამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, რომელსაც „სახარებასა შინა ღაზარე ჰქვიან“ და არა „ქართარე“. ამიტომ, საეჭვოა, ის დაწერილი იყოს X საუკუნეში. უფრო სარწმუნოა, რომ „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისა“ დედანში (იბერიულ ენაზე) დაწერილი იყოს ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008 წ.) შემდეგ, როცა ტრადიციული იბერიული ენის ნაცვლად სახელმწიფო ენად მიღებული იქნა ქართული ენა.

ცნობილია, რომ ძვ. აღ-ის 331 წლიდან ახ. წ. აღ-ის 523 წლამდე არსებობდა რამდენადმე დამოუკიდებელი იბერიის სახელმწიფო. ქართლი იბერიის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ სპარსეთის ზეწოლით მუდამ ცდილობდა გამოყოფოდა იბერიას და მე-2 საუკუნეში (ჩვ. წ. აღ.) შესძლო კიდევ ჩამოეყალიბებინა არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო (ორმეფობის ხანა), თუმცა, ექვსი მეფის მეფობის შემდეგ იძულებული გამხდარა ისევ დამორჩილებოდა იბერიას (იხ. ექვთიმე თაყაიშვილის „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“ 1-ლი „მნათობი“, 1948 წ. №8).

ცხადია, ე.წ. ქართულსა და ე.წ. მეგრულს შორის ენობრივი სხვაობა საგრძნობი იყო. დავუშვათ და, მართლაც, ფარნავაზის დროიდან ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა და „არღა იზრახებოდა სხვა ენა თვითნიერ ქართულისა“. მაშინ, რატომ ერქვა იბერია? ქვეშევრდომი ეთნოსის ენა ოდესმე ყოფილა რომელიმე სახელმწიფოში პეგემონი ეთნოსის სახელმწიფო ენა?

თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს ბიზანტიაში 11 წლის ყრმას იოანე ღაზი, რომ მშობლიური (იბერიული) ენა არ დაევიწყებოდა? ნუთუ ქართის გვარტომში ვერ მოიძებნა მშობლიური ენის ხეირიანად მცოდნე? ეს კითხვები ორი წლის წინათ

ოფიციალურად დავსვი ქართველ მეცნიერთა წინაშე, მაგრამ ვერავინ გამცა პასუხი. ამიტომ უნდა ვადიაროთ, რომ ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე ქართული ენა არ ყოფილა სახელმწიფო ენა და არც შეიძლება ყოფილიყო განვითარებული.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს, სახელწოდებით საქართველო, გარე სამყარო მე-13-14 საუკუნემდე არ იცნობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, აფხაზეთის განმარტება), ხოლო უცხოურ წყაროებში მხოლოდ იბერიას და იბერიულ დამწერლობას იხსენიებენ.

მტანაში სიტყვა, მაგრამ თუ ღაზ-ეზრდნობით ლეონტი მროველის „მართლს ცხოვრებას“ და, იბერიისა და იბერიული ენის იბნორირებას ხარჯზე, მართლ უნას უარნავაზის დროიდან სახელმწიფო ენად ჩავეთვლით, რა უფლებით უნდა უარყოფოთ იბივი ლეონტი მროველის ცნობა, რომ ახ. წ. აღ-ის მე-6 საუკუნემდე „მართლსიანი ენა სომხური იყო, ხოლო ახვასიის ნახვარბი, უმჯობესი მიწები თარბამოსმა თავის უმჯობეს შვილს – ჰაოსს, სომხსთა მონარქს შოგა“, რის საუკუნეზემც არის ცნებაში უარყოფილი და უმჯობესი სახელმწიფო ენად ჩავეთვლით, რომელიც ცნობილი „დღიი არმენიის“ რუბა და უმჯე აშპარაღ აცხადებენ პრეტენზიას ე.წ. მართლ მიწაზე, ხოლო ამ საპითხის მშვიდობიანად მოუზავარბლობის უმთხვრეაში, ომითაც გვემშრებინა?

ვერ იქნება სამართლიანი ადილო და აქო მხოლოდ ის, რაც შენთვისაა სასურველი, ხოლო დავმო ყველაფერი, რაც სხვისთვისაა სასურველი.

აქ შეუძლებელია არ აღვნიშნო შური, რომელიც იხთხევა ფილოლოგ – ეგვიპტოლოგის პროფ. მანანა ხვედელიძის წერილიდან „ასეთ ცდას მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს...“, რომელშიც ავტორის მიერ გაა კვაშილავას უზადო მიგნებათა უარყოფის მხოლოდ სურვილია გამოხატული ყოველგვარი მოტივებისა და არგუმენტების გარეშე (იხ. გ-თი „საქართველოს რესპუბლიკა“, №102, 31 მაისი 2012 წ.).

„მეცნიერული კვლევა-ძიებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო“, – დიდი ივანე ჯავახიშვილიც გვაფრთხილებდა და „ეგვიპტურ დამწერლობასთან და, კერძოდ, იეროგლიფებთან დაკავშირებული ისტორია ძალიან თვალსაჩინო მაგალითია, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს უცნობი ენისადმი არასაკმარისად ფაქიზმა დამოკიდებულებამ“. ნამდვილად დავეთანხმები ქნ მ. ხვედელიძეს, მაგრამ ზოგი გახეთი, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკა“ და ზოგი მომეცნიერო ინდივიდი, ანგარების გამო, მეცნიერულ სინდისს რომ არ დალატობდეს და ყველაფერს რომ არ ბეჭდავდეს, მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა მიერ აღიარებული უნიჭიერესი მეცნიერის – გაი კვაშილავას მიერ გაშიფრული ფესტოსის დისკო ჭეშმარიტების უარსაყოფად სახელდახელოდ მოგონილი ზღაპრის დაბეჭდას არ იკისრებდა. ნუთუ ქნმა მ. ხვედელიძემ არ იცის, რომ ბ-ნ გაი კვაშილავასთვის ის ენა, რა ენაზეც ფესტოსის დისკო ეპიშობა, უცხო არ არის და მას არც სიფრთხილე აკლია და არც ნიჭი და პასუხისმგებლობა. ყველაფერი უხეად აქვს ღვთისგან მომადლებული.

„ახლანა საინტერესო რამ წავიკითხე ფესტოს დისკოზე, რომ კრებაზე ირაკლიონის მიწაზე არაფრით არ იძლევა დისკოს თანამედროვე სხივურ ანალიზზე ზუსტი ასაკის დასადგენად, რადგან სულ უფრო ვრცელდება აზრი, რომ ყაღბია, სწორედ მისი ერთადერთობის გამო (მართალია, რადაც მსგავსიშენებინა არტეფაქტი მოძიებულია ვლადიკავკაზში, მაგრამ ისიც ერთადერთია). ყოფილა სკანდალი, რომელიც ცნობილ „მტრესკულ“ ბრინჯაოს ფიგურასთან დაკავშირებით, რადგან სხივურ ანალიზს დაუდგენია, რომ სულ 500 წლისაა, და ამის შემდეგ ფესტოს დისკოს აღარ იძლევიან. არის ვარაუდი, რომ დაახლოებით 100 წლის წინათ, როცა ევანსი თხრიდა, დაამზადეს და მოათავსეს გათხრების ადგილას სენსაციის გულისთვის, და ევანსი, მართლაც „გაგოფდა და ჭამა“, – წერს ქნი მ. ხვედელიძე.

კუპური ვიზია, „ვაზისისა“ და „აიას“ მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

კოლხეთი — კასოგრიობის სივილიზაციის სათავე



დასაწყისი “ილორი” №171, 172, 173, 174, 175

საქართველო ნამდვილად ჯადოსნური ქვეყანაა და ჩვენს მესხიერებაში მშვენიერ სიზმარს დაემსგავსა. ამ მიწაზე მომავადობელი სულის ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი უღამახესი ლანდშაფტის მდიდარი კუთხე იყო. ქართველები კი ამ მიწას ნამდვილად იმსახურებდნენ. ახლა კარგად გვესმოდა, ამას რატომ იმეორებდნენ რუსები (და არა მარტო რუსები):

– სანამ საქართველო არ გინახავთ, თქვენ არაფერი არ გინახავთ! – წერს ერთ-ერთი რუსი მწერალი.

2011 წელს აჭარაში ხელვაჩაურის რაიონში სოფელ ჭარნალში შემთხვევით იპოვეს 5 ათასი წლის წინანდელი კოლხური ნასახლარი. ნაპოვნი ნივთები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არქეოლოგებს გადასცეს. დასახლება თარიღდება ძვ. წ. XI-X საუკუნეზე გაცილებით ადრინდელი პერიოდით. (5 ათასი წლის წინანდელი). არქეოლოგებმა მიაკვლიეს სახელმწიფოს და რკინის საწითობ ქურასაც. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის ამირან კახაძის განმარტებით მიკვლეულ მასალებს შორის უმნიშვნელოვანესია ქვის სამი გობი, რომელშიც ბრინჯაოს ზოდები ეწყო – იარაღების ჩამოსასხმელი ბრინჯაოს მასალა – ქვის გობებში ხდებოდა მდინარე, კერძოდ სპილენძის დამუშავება.

აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ 5 ათასი წლის წინ კოლხები მეტალურგიას კარგად იცნობდნენ, ჩანს, რომ ნედლეულის აღება იქვე ახლოს მურღალის ხეობაში ხდებოდა (დღეს ეს ადგილი თურქეთის სპილენძის დამუშავების უმნიშვნელოვანესი ცენტრია) აღნიშნული ადგილი ბრინჯაოს და სპილენძის საბადოებით უძველესი დროიდან არის ცნობილი.

სპეციალისტებმა რომელი ხანის ქვევრი და მასში ჩარჩენილი ყურძნის წიპწები იპოვეს. (ნინო ჯაფარიძე, 5000 წლის წინანდელი კოლხური დასახლება აჭარაში, ჟურ. „ისტორიანი“, 2011, გვ. 2) ყურძნის ჯიშები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, ცნობილია, რომ კოლხებმა პირველმა მოაშენეს ვენახის კულტურული ჯიშები, ამაზე ორიოდე სიტყვით ქვემოთაც გვაქვს საუბარი, ერთ-ერთი ქართული ვენახის პირველი ჯიში იყო „ჭვეტლოური“.

2011 წელს არქეოლოგებმა კაზრეთის მიდამოებში აღმოაჩინეს 6 ათასი წლის წინანდელი ოქროს სადნობ დანადგართა სისტემა, რომლითაც ძველი კოლხები ოქროს ადნობდნენ. ეს ახალი სიტყვაა მეცნიერებაში.

კოლხეთის უძველეს ტერიტორიებზე სხვა დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებზე (დმანისის და სხვა) კიდევ ბევრია სალაპარაკო, მაგრამ რაც ვთქვით საკმარისად მიგვაჩინა.

ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში ძველი ეგრისის (კოლხეთის) საზღვრები, როგორც ჩანს, შემცირდა. მაგრამ, აშკარაა, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელდებულა.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი წერს, რომ ეგრისის (კოლხეთის) შემადგენლობაში შედიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), აღმოსავლეთით შორაპანი; სამხრეთ-აღმოსავლეთით ტერიტორიები

ტრაპიზონამდე კოლხიდას ეკუთვნოდა, რომელიც ძვ. წ. VIII-VI საუკუნიდან არ შედიოდა კოლხეთის შემადგენლობაში. სტრაბონი კოლხეთის შემადგენლობაში მოიხსენიებს სხვა ქვეყანასაც. ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეგრისის (კოლხეთის) მეფეებმა მოახერხეს პონტოს და სხვა სამეფოებისგან წართმეული ტერიტორიების დაბრუნება. სტრაბონი აღნიშნავს, რომ ეგრისის სამეფოში ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილს, ფისს, მისდევენ მეფუტკრეობას, საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გააქვთ სელი (იხ. თამაზ ბერაძე, სამეგრელოს ისტორია, ჟურნ. „აიპა“, 2001, №9-10, გვ. 38).

კოლხეთი ძველად საკმაოდ დაწინაურებული სამეფო იყო, რასაც ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა: შავი ზღვის ვრცელი სანაპიროები, სადაც გადიოდა ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა და სხვა.

სტრაბონის დამოწმებით კოლხებს დიდი რაოდენობით გაჰქონდათ უცხოეთში მადნეული: ოქრო, ვერცხლი, რკინა. ლითონებისაგან კოლხები ამზადებდნენ არა მარტო ჭურჭელს, არამედ სამკაულებსაც. უცხოეთში გაჰქონდათ ხე-ტყე (მათ შორის ხომალდების სამშენებლო). ტრაპიზონის გზით გაჰყავდათ და ყიდდნენ მსხვილფეხა საქონელს, კოლხური სელი-საგან მოქსოვილი ტილო მეტოქეობას უწევდა ეგვიპტურ ტილოს, საუკეთესო იყო.

კოლხეთის სამეფოს წამყვანი დარგი ყოფილა სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება, ხის დამუშავება; ასევე, მაღალგანვითარებული ყოფილა კერამიკული წარმოება.

კოლხებს დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ხორბალი, რომელთა შესანახად სარდაფებს იყენებდნენ (მახა, ზანდური, იმერი). კოლხეთის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან, პირველ რიგში საბერძნეთთან – მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან, ბალკანეთის საბერძნეთთან, შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებთან.

როგორც პროფ. თ. ბერაძე აღნიშნავს, ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ბერძნული და ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიებიდან საქონელი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაჰქონდათ ეგრისის ნავსადგურებიდან, შემდეგ კი ამ სავაჭრო გზებმა საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვეს. ხოლო ძვ. წ. IV-I საუკუნეებში უკვე საქართველოზე გადიოდა მსოფლიო სავაჭრო გზა – ე. წ. „აბრეშუმის გზა“ და ინდოეთის, შუა აზიისა და სხვა ქვეყნების საქონელი შემოჰქონდათ ეგრისის ნავსადგურებში, საიდანაც გადაჰქონდათ დასავლეთში.

დაახლოებით 3500 წლით ადრე კოლხეთში ცოდნით გოგირდოვანი, თერმული წყლების სამკურნალო თვისებები. რომ ამ სამკურნალო წყლებით მეღვა მეკურნალობდა – თითქოს „მოხუცებს ხარშავდა და აახალგაზრდავებდა“. ეს ხომ არ არის მეოთხე შადრევანი, რომელიც, როგორც მიუთითებს აპოლონიოს როდოსელი, ჰქონია სასახლეში მეფე აიგტს. ყურადღება, რომ სენაკის რაიონში ამჟამად არის გოგირდოვანი აბანო „მენჯი“ (მიგვანიშებს მელვას სახელს) თავისი თბილი სამკურნალო წყლებით.

ექვთიმე თაყაიშვილი თავის გამოკვლევებში „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“, ისე როგორც ივანე ჯავახიშვილი, აღნიშნავს, რომ ქართველთა მოდგმა დაყოფილი იყო სხვადასხვა სახელწოდების ტომებად. „დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ: კოლხები (იგივე ეგრები ანუ მეგრელები). ლაზ-ჭანები, აფხაზები და სვანები; აღმოსავლეთ საქართველოში: მესხები, იბერები, კახები და ქართვენი ანუ ქართველები... დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად მეთაურობდნენ ეგრები ანუ კოლხები და სახელმწიფოს ეწოდებოდა ეგრისი ანუ კოლხეთი, კოლხიდა, მაგრამ სხვა ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ერთი ტომი მეორეს მშვიდობი-

ანად არ უთმობს ძალაუფლებას. იბერების „გაქართველება“ პირველ ყოვლისა ქართულ სალიტერატურო ენა-სა და კილოს შეთავსებაში უნდა გამოხატულიყო. სახელწოდება „ქართლი“, – აგრძელებს ე. თაყაიშვილი, – პირველად გვხვდება მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერაში. ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი სტეფანოზ I ქართლის პატრიკიოსად არის მოხსენებული და არა იბერიის პატრიკიოსად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს წარწერა 591-სა და 600 წლებს შორის არის ამოტყობილი (ექ. თაყაიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1948, №8; იხ. აგრეთვე ჟურნ. „აიპა“, 2001, №9-10, გვ. 28, 22.) (მეექვსე საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა მოიხსოვ. ორიგინალურ ლიტერატურაში ქართლი პირველად იხსენიება „შუშანიკის წამებაში“. „როგორც ეტყობა, ქართველთა და იბერების შორის წინააღმდეგობა ცხარე ბრძოლა სახელმწიფოს მეთაურობისათვის და ერთხელ ქართველი კიდევაც გამოყოფიან იბერებს და შეუქმნიათ სეპარატული სახელმწიფო არმაზში... ეს არის ეგრეთწოდებული „ორმეფობა“ საქართველოში“ – წერს ე. თაყაიშვილი.

VI საუკუნეში, როდესაც ჰეგემონიას ქართლები იგდებენ ხელში, იბერები თანდათან კარგავენ დამოუკიდებლობას, ხოლო VIII საუკუნის ბოლოს დაბლობის (ბარის) იბერები მთლიანად ითქვიფებიან გაბატონებულ ქართლებში, იბერები საბოლოოდ კარგავენ დამოუკიდებელ სახეს. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ მესხები არიან, შემდეგ იბერები, რომლებიც ქართლის სამთავროს ერისთავებით შეიცვალა, შემდეგ IX საუკუნის ბოლოდან ქართლის სამეფოდ იქცა. ბოლოს კი, X საუკუნის დასასრულიდან გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა (ამ საკითხებზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

ამრიგად, ასკენის ე. თაყაიშვილი: „წოდება „იბერიის მეფე“, მაშასადამე იბერიის სახელმწიფოც ისპობა 523 წელს. პროფესორი დავით გვრიტიშვილი წერს: 523 წელს სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა მოსპეს და სპარსული მმართველობა-მარზპანობა დააწესეს. მარზპანი თბილისში იჯდა და აქედან განაგებდა თავის საბრძანებელს“ (დ. გვრიტიშვილი, თბილისის თავგადასავალი, გვ. 9). (ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მოსაზრება დაძლეულად, მოძველებულად და მიჩნეული). უფრო სწორი ჩანს ის, რასაც პროფ. გ. გოთილაძე ამბობს: „როგორც გაირკვა ქართლში მეფობა 523 წელს კი არა, არამედ დაახლოებით 537 წელს იქნა სასანიდთა მიერ გაუქმებული“ (ექ. თაყაიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1948, №8.) (!) გურგენ მეფის ბიზანტიაში გადასვლიდან, რომლის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში იწყება ქართველთა ანუ ქართლებების მფლობელობა. თავდაპირველად განცალკევებულ ერისთავთა მფლობელობით, ხოლო 899 (ახალი მასალების მიხედვით დადგენილად ითვლება 888) წლიდან ადარნასე II მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების შემდგომ, ქართველთა სამეფოს დამკვიდრებით, ბაგრატ III დროს, როდესაც აფხაზეთი და ქართლი გაერთიანდა, შეიქმნა საქართველოს მთლიანი სახელმწიფო (ექ. თაყაიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1948, №8.).

IX საუკუნიდან ქართული ენა გახდა სახელმწიფო ენა მთელი საქართველოსათვის (რა თქმა უნდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზებისათვისაც), ტერმინი „საქართველო“ X-XI საუკუნეების მიჯნაზე – საუკუნის დასაწყისში გაჩნდა „ქართლი“ პირველად V საუკუნეში

იხსენიება „შუშანიკის წამებაში“, რომელიც საუკუნეების შემდეგ იქნა აღმოჩენილი.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი წერს: „თვითონ ტერმინი „საქართველო“ მეათე საუკუნის დროინდელია და კანონზომიერიცაა, რომ იმ დროს გაჩნდა. უფრო ადრე ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა“. (დავით მუსხელიშვილი, როგორ გააქართველა ქართლმა როგორც ქართლის, ისე არა-ქართველი ტომები და საიდან გაჩნდა სახელწოდება „გერუზია“, ჟურნ. „თბილისელები“, 2011 №31, გვ. 9, ესაუბრა ჟურნალისტი ნინო ხაჩიძე.)

აღსანიშნავია, რომ კოლხური კულტურის შიდა ქართლში გაგრძელების საკითხი განხილული აქვს მრავალ ცნობილ მეცნიერს, მათ შორის ჰუმბოლდტის რამდენიმე გზის სტიპენდიანტს, პროფესორ ჯონი აფაქიძეს: „კოლხური კულტურის ლოკალური ვარიაციები“. ავტორი სამართლიანად მიუთითებს: „ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედში ქართლის დასავლეთ რაიონებში აქტიურობას იწყებენ კოლხური კულტურის ელემენტები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში ვრცელდება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე“ (ჯონი აფაქიძე, კოლხური კულტურის ლოკალური ვარიაციები, თბ., 2003, გვ. 6.).

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბევრი ტოპონიმი მეგრულია და მრავალი გეოგრაფიული სახელი მეგრული დაბოლოებით მთავრდება – კახეთი, ჩუღურეთი, ხევსურეთი, ასევე მდ. ალაზნის სახელწოდება და სხვა მრავალი. ასევე გორი, ზესტაფონი, ხონი მეგრული სიტყვებია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ: მეცნიერთა ნაწილი ქართველთა თვითსახელწოდებად მიიჩნევენ სიტყვა „ქართლს“, რომელიც წარმომდგარი უნდა იყოს ტოპონიმისაგან „ქართ“, რომლის სემანტიკაა – ზღუდე, გაღავანი, ღობე, ქართა (მეგრულად „ქართა“ ნიშნავს მრგვალს, წრეს) – ქართველ ტომთა გაერთიანების ცენტრი, საიდანაც შემდგომ დასაბამს იღებს ქართული ერთობა. უნდა არსებულიყო ეთნონიმი, ისევე როგორც ტოპონიმი „ქართუ“ – მეგრულთა მიერ აღმოსავლეთ ქართველთა სახელწოდება – გარკვევით წერენ გრიგოლ გიორგაძე და ნანა ხაზარაძე – მოგვიანო ხანებში სწორედ აქედან უნდა წარმომდგარიყო „ქართველი“ (გრიგოლ გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნონიმები და ქართველთა წარმომავლობა, ნ. ხაზარაძის თანაავტორობით, თავი IV – „ქართველთა წარმომავლობა“, თბ., 2002, გვ. 181.) (ამასვე ამბობს აკად. დ. მუსხელიშვილიც). ამას უნდა დაემატოთ მეგრული სიტყვა „ქორთუ“, რაც პირდაპირ „ქართველს“ ნიშნავს, ხოლო თბილისის მეგრელები უწოდებენ „ქართს“. როგორც გარკვევით ჩანს, აქედან უნდა იყოს წარმომდგარი „ქართველი“. პროფ. გ. ჭელიძე ამბობს: „მეგრელები არიან უძველესი ქართველები“ რომ ზანურში (მეგრულ-ჭანურში) „ქორთ“ (ქართ) ძირისაგან დაუბრკოლებლადაა მიღებული იგივე „ქართველი“ და აგრძელებს: „ქართისაგანაა“ ნაწარმოები საქართველოს ერთ-ერთი კუთხის „ქართლის“ სახელწოდება. „ქართლმა“ სრულიად საქართველოს მნიშვნელობა ჯერ კიდევ X საუკუნეში გაიფიქრა და ჩამოთვლის ქართული ტომების სახელწოდებებს. ასკენის: „ისინი ლაპარაკობდნენ ერთი ქართული (კოლხურ-იბერული) ენის სხვადასხვა კილოზე“.

გ. გიორგაძე და ნ. ხაზარაძე მიუთითებენ: „არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ საერთო ქართველური ეთნონიმის თვით სახელწოდება შეიძლება ყოფილიყო სვან-ი, ეგრ-ი ან სხვა რომელიმე ქართული ეთნონიმი, რასაც დამტკიცება სჭირდება“ (გრიგოლ გიორგაძე, უძველესი აღმოსავლური..., გვ. 182.).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სიანსლე საბამომსხემლო სფეროში – ნიბნი ღირსეულ ნინაპარზე

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა...“



ყოველი ჩვენთაგანის ოჯახში ინახება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაღებული წინაპართა სურათები, რომელიც ოჯახის რელიქვიადაა მიჩნეული. მომავალ თაობა პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. ბევრს ეამება, რომ ღირსეული ბაბუებისა და ბებუების შთამომავლები არიან.

ამას წინათ მწერალმა და ჟურნალისტმა ნარო კოლხეშელმა (ნარიმან იაშაღაშვილი) მოამზადა და გამოსცა პატარა, ლამაზი წიგნი ერთ კეთილშობილ და ღვაწლმოსილ პიროვნებაზე, ექიმ პიმენ მიქაიასზე.

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება, პირველ ნაწილში მოთხრობილია პიმენ ექიმის ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა, მეორე ნაწილში დაბეჭდილია ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოგონებები, მესამე კი გაჯერებულია სურათებით.

ეს გამოცემა სახეა, იგივე საივნიტო ბარათია ოჯახისა, რომელიც შთამომავლობას სამუდამოდ დარჩება.

ასეთი წიგნის გამოცემა კიდევ ერთხელ დასტურია იმისა, რომ ვასრულებთ ათი მცნების ერთ-ერთ მთავარ მცნებას, რომელიც წერილს რუბრიკად უძღვის.

ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე პიმენ მიქაია დაიბადა 1907 წელს, მარტვილის რაიონის სოფელ ვედიდარში და აქვე დაამთავრდა დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი მარტვილის ცხრაწლედის სასწავლებელი. დედა რვა წლის ასაკში გარდაეცვალა. 1929 წელს პიმენმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე (შემდგომში იგი სამედიცინო ინსტიტუტად

გამოეყო უნივერსიტეტს). უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაინიშნა მარტვილის რაიონის სოფელ საღახინოს საუბნო საავადმყოფოს გამგედ, მოგვიანებით იგი დააწინაურეს მარტვილის რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილედ, ბოლოს კი მშობლიური სოფლის საექიმო უბნის უფროსად გადმოიყვანეს, რათა მარტოხელა მოხუცი მამა მოუვლელად არ დარჩენილიყო.

1937 წელს დაოჯახდა – ლოლა სიგუაზე დაქორწინდა. 6 შვილი აღუზარდეს სამშობლოს, მაგრამ მანამდე იყო დიდი სამამულო ომი.

1943 წელს მოხალისედ ჩაეწერა და ფრონტს მიაშურა. ჯერ მოსკოვში გაგზავნეს, საიდანაც უკრაინის მესამე ფრონტის 46-ე არმიის პოსტილის მთავარ ექიმად დაინიშნა. ერთხელ, როცა დაჭრილების დასახმარებლად მიიქაროდა, სამ სანიტართან ერთად დაბომბვაში მოჰყვა, ნახევრადდანგრეული წისკვილკომბინატის შენობას შეაფარეს თავი, მაგრამ მაინც დაიჭრა. არმიის მედსანაწილში მხოლოდ მეორე დღეს მიიყვანეს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში, სადაც ქართველი ექიმები მკურნალობდნენ: ირაკლი ძაგნიძე, ილია ბერიძე, ზინაიდა მგელაძე, გრიშა ბარამია, გიორგი მოსეშვილი...

მაღე წამოაყენეს ფეხზე, მაგრამ, მრავალთა მსგავსად, ხიფათს არ ერიდებოდა და შემდეგ კიდევ დაიჭრა, მაგრამ მაინც მწყობრში დარჩა, რაც სათანადო ჯილდოებით აღნიშნა კიდევ საბჭოთა სარდლობამ.

1944 წელს, უკრაინის განთავისუფლების შემდეგ ბესარაბიაში გადაისროლეს. საინტერესო ისაა, რომ ერთხელ გერმანელების წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლაშიც კი მოუწია მონაწილეობამ. მრავალ ხელჩართულ ბრძოლებში გამოწოთობილი საბჭოთა მებრძოლები გოცებულები უცქერდნენ თითქოს მოწოდებით ამ “არამებრძოლ” კაცს, რომელიც ლომივით ტრიალებდა მტრის ჯარისკაცებს შორის.

მაგრამ იგი მაინც სიცოცხლის გადასარჩენად იყო მოწოდებული და არა მის მოსასპობად. ამიტომ, უამრავი დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინა. მაღე მაიორის წოდება მიანიჭეს.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელს მიაშურა და საექიმო ამბულატორია ჩაიბარა, სადაც მაღე 25-საწლიანი ლამაზი საავადმყოფო ააშენა. ეს მისი დიდი ხნის ოცნება და მიზანი გახლდათ.

მიუხედავად უკანასკნელ ჟამს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ყოფაში მომხ-

დარი კატაკლიზმების და ტექტონიკური ძვრებისა, ეს საავადმყოფო დღესაც პიმენ მიქაიას სახელს ატარებს.

დიდი სამამულო ომის დროიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული: ორდენი და მედალი საბრძოლო დამსახურებებისათვის, ფრიადოსანი სანიტარის მედალი, კვალიფიციური ექიმის უმაღლესი ხარისხის მედალი, გერმანიაზე გამარჯვების (1941-1945) მედალი, ომის დამთავრებიდან 20 და 30 წლის თარიღების აღმნიშვნელი მედლები, 50-ე საიუბილეო წლის აღმნიშვნელი მედალი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობისაგან 8-ჯერ ჰქონდა მიღებული მაღლობა, დაჯილდოვდა ათეულობით დიპლომითა და სიგელით. სამოქალაქო სამსახურის პერიოდში მთავრობისაგან მიღებული აქვს: წითელი ჯვრის მე-100 წლისთავთან დაკავშირებული სამახსოვრო მედალი, ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული მედალი და დიპლომი, ათი სამკერდე ნიშანი სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის და ა.შ. ყველა ეს ჯილდო იმის მიმანიშნებელია, თუ როგორი ეფექტიანობითა და თავდადებით ემსახურებოდა სამშობლოს ექიმი პიმენ მიქაია.

ეს მართლაც უნიკალური პიროვნება 1986 წელს გარდაიცვალა 79 წლის ასაკში. როგორც უკვე მოგახსენეთ, ახლახან გამოცემულ ბროშურას პიმენ მიქაიასზე, რომლის რედაქტორ-შემდგენელი და გამომცემელი გახლავთ გაზეთ “ილტრის” აქტიური ავტორი და თანამდგომი ბატონი ნარო კოლხეშელი (ნარიმან იაშაღაშვილი), წამძღვრებული აქვს დიდი ილიას სიტყვები:

კაცად მაშინ ხარ საქმეში,
თუ ეს წესი წესად დარბე,
ყოველ დღესა შენს თავს კპ-ითხო,
აბა დღეს მე ვის რა ვარბე.

სწორედ ამ სტრიქონების პასუხი გახლავთ ის უამრავი სიცოცხლე, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე გადაურჩენია პიმენ ექიმს.

განა სხვა რაღა უნდა იყოს სატირო კაცურად ცხოვრებისათვის?

ბატონ ნარო კოლხელს კი დიდ მადლობას მოვასხენებთ, რომ უკვდავყო ამ მართლაც დიდებული ექიმისა და პიროვნების სახელი.

ზურაბ ძოგალია,
მწერალი

პოეზიის კუთხე

ნოსტალგია...

(აფხაზეთის მონატრება)

მშობლიურ მიწაზე, მენატრები ძლიერ, ამ სოცარ მონატრებას, უშენობა ჰქვია. უშენობა ჰქვია გაწამებულ თევებს, უშენობა ჰქვია აწ დარჩენილ დღეებს. უშენობა ჰქვია მონატრების სურვილს, უშენობა ჰქვია უშენობის წყურვილს. მოვეფერო მინდა მიწასა და ცას, ძაძაჩაძემულ სახლს, შუკასა და გზას. მოვეფერო მინდა იქ საფლავში ძმას, ვემთხვიო და ვეამბორო მის ლოდსა და ქვას.

უშენობა ჰქვია მერმისსა და მრწამსს. უშენობას ვტირი. უშენობა მკლავს... უშენობა ჰქვია აწ დარჩენილ გზას ამ სადამოს მე ჩონგურზე ვერ ავაწყობ ხმას.

დმერთსაც ამას ვევედრები, თუ მივაწვდენ ხმას,

ნუ დამინგრევს ჩიტის ბუდეს, ნუ მომიშლის გვარს,

ჩემი ნაფეხურალი არ მოწმინდოს სხვამ. დამამთხვიე, ჩამაკონე ჩემი სახლის ზღვარს.

უშენობას ვტირი... უშენობის დარდს... ვეამბორე შენს გაზაფხულს, აპრილსა და მარტს,

შენს ოქროსფერ შემოდგომას, აგდარსა და დარს.

იმ სხვანაირ შებინდებას, წვიმასა და ქარს;

აღერსსა და მოფერებას, გლოვასა და ზარს,

შენებური შავი სუფრით, რომ აცილებ მეგდარს.

გულით ტირი, ცრემლით ნამაგ, აღარ უძღვნი ხარს.

ვეამბორე მაჯისცემას, შენი გულის ბარდვს,

ორღობეში მიტოვებულს, უპატრონო მკედარს.

ამ შენებურ მიწის სურნელს, ამ გადამწვარ ბარს,

შენს ზეცაში ობლად ასულ ჩვენი ბუხრის კვამლს.

შენგან მტრობა მირჩენია, აქ დახვედრილ ძმას,

უშენობის საიდუმლოს ვერ გაგანდობ მას.

უშენობა მენატრება... უშენობა მწვავს... უშენობის წყურვილს ვერ მომიკლავს სხვა,

უშენობა მტკიავ... უშენობის გზა...

მანანა ზარძუა,
რუსთავი, 1994 წელი

გულით ნახეარი სტრიქონები



ქალბატონი ოლგა მიხეილის ასული მენშიკოვა-ჩიქოვანისა ეროვნებით რუსი გახლავთ, რომელიც დაიბადა ვორონეჟის ოლქის ქალაქ ბორისოგლებსკში. ლენინგრადის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზუგდიდში დაესახლა და ამჟამად იქ ცხოვრობს მეუღლესა და შვილთან ერთად. ეწევა შემოქმედებით ცხოვრებას – ძირითადად წერს ლექსებს რელიგიურ თემებზე. გთავაზობთ ქალბატონ ოლგას ლექსებს:

В храм вхожу, душа благоухает,
Глаза заливаются доброй слезой,
Беспрдельно люблю, когда все затихает,
И батюшка благословляет господней рукой.
Запах ладана, свеч и просфоры
Раскаяньем наполняют душу мою,
И самые крепкие затворы
Не в силах удержать молитву мою.
Не слышу шепот я и толкотню,
Любовь сердце переполняет.
Лихое лукавство от себя гоню,
И всю меня Свет Божий наполняет.
Прости, даритель, слаба бываю,
Но сердце сокрушается моё,
Поверь, я с верой не играю,
Душой прошу прощение Твоё!
Не дай мне этот мир покинуть
С пятнышком на душе,
Дай чуточку время грехи покинуть
И представлюсь я с Тобой в душе.
О нет, пока мне очень рано
Землю Твою покидать,
Будет для сыночка рана,
Должна с Тобой я его воспитать.
Тот малыш, хотя и служит
Господу, мне и народу,
С монахами он дружит,
уготовь ему, Господь, дорогу,

Молить Тебя я буду вечно,
Пока сердце моё не остановишь,
Лукавый хватает меня, но тщетно,
Верю - взгляд Свой на мне остановишь.
В слезах пишу, от радости великой,
Хвала во век Тебе, Иисус Христос!
Вера моя становится великой,
С Тобой душа и жизнь, Иисус Христос.

* * *

Люди возликуйте! В Зугдидском Храме
На русском молитва звучит,
В алтарь взглянула, а там батюшка стоит,
Глаза залились радостной слезой,
Три нации в момент соединились,
Грузины, русские и украинцы, все молились,
Я русская, но Грузией горжусь,
Митрополит Зугдидский – в сиянии стоит,
И православным радость он дарит.
Поломники увидели меня,
И руки мы друг другу протянули,
И душой в глаза мы заглянули,
В глазах тепло, любовь, страданье,
И плакали мы все за веру, за добро
И подарили друг другу Господнее тепло,
Поклон, Владыко я тебе даю,
Благодарю, что Лжейцу ко рту поднёс,
И проповедью своей, печаль мою унёс.

* * *

Мальчишка мой ликует,
Под Храмом Божьим мы прошли,
И пусть сатана лютует,
В Светицховели с теплом вошли,
О, эта аура бесценна,
Которой Храм наполнен,
Радость эта безмерна,
Божьим Светом малыш наполнен,
Древнейшие фрески смотрят на нас,
И сердце в момент замирает,
И строгий, добрый иконостас
Печаль из души забирает.
О, Величайшее чудо на свете,
От себя никак не отпускает,
Все перед предками в ответе,
И перед Богом – Он нас спасает.
Благодарим великого в века,
Что видит нас и помогает,
И веры великая река
Через наши сердца протекает.
Благодарим в молитве
Матерь Пречистую Иисусову
Верны мы, Боже, молитве,
Чтим молитву Иисусову.

Ольга Меньшикова-Чиковани

ალექსანდრე ჯაჭია: „ვისაც სამშობლო უყვარს, ვისაც ერის ნორმალური მომავალი სურს, ჩვენნი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამეზობელი!“

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)
ნუთუ არ რცხვენია ვიდაც პოეტსა თუ მსახიობს ამის შემდეგ სამეგრელოსთვის სეპარატიზმის დაბრალება? მაგრამ ისინი სეპარატიზმს ეძახიან იმას, როდესაც ადგილობრივი ადამიანი, მათივე ბანდიტური თავდასხმებით გაუბედურებული, მათივე ეკონომიკური პოლიტიკით გადატარებული, მათივე სოციალური პოლიტიკის გამო უმწეო, მათივე ქმედებებით დაცემული, მშვიერი, მომაკვდავი, ყვირის: რას შერებით, ხალხო, რატომ მკლავთ? პასუხად გაისმის: არ მოგწონს, პროტესტს აცხადებ? ე. ი. სეპარატიზმი ხარო.

მიზანმიმართულად ყალიბდება აზრი, რომ სამეგრელოს მოსახლეობის მიერ ნებისმიერი უკმაყოფილების გამოხატვის ნებისმიერი ფორმა სეპარატიზმს ისახავს მიზნად, ე. ი. ჩვენ ჩუმად, უსიტყვოდ, უპროტესტოდ უნდა დავიხოცოთ, თორემ ყველა სხვა შემთხვევაში სეპარატიზმს დავებრალდებენ. ბევრი ჩემი მეგობარი, აქაური მკვიდრი, სისტემატურად მაფრთხილებს: შენი ჭირიმე, არ თქვა არაფერი სამეგრელოზე, თორემ სეპარატიზმს დაგაბრალდებენო. ასეთი ქცევა, ასეთი მიდგომა, ასეთი დამოკიდებულება ჩვენთვის, ყველასთვის კატეგორიულად მიუღებელი უნდა იყოს. მეტიც, ჩვენ ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელ დაშლილ, დანგრეულ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად და სხეობრივად დაცემულ, შეურაცხყოფილ საქართველოში ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გამაყრდენი იყო უნდა შევასრულოთ. მეგრელებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქართველებისთვის, ცხოვრების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს. თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე – აფხაზეთი მეგრელებისგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც გაგვდევნის და რომელიმეც გამოყოფილ «სამეგრელოს რესპუბლიკაში» ერთად მოგვიყრის თავს.

ახლა მინდა შევეხო ისეთ სათუთს, ანუ ვთქვათ, დელიკატურ საკითხს, როგორიცაა მეგრული ენის არსებობა და გამოყენება. სამწუხაროა, რომ მე, ქართველი კაცი, იძულებული ვარ, ერთ-ერთი ქართველური ენის შესახებ, როგორც დელიკატურ საკითხზე ვილაპარაკო. მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ენა, რომელზეც ქართველთა ერთი მესამედი ლაპარაკობს, უძველესი ენა, რომლის ლექსიკური მარაგი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში, ქართველების მიერვე ხან კილოთი, ხან დიალექტით, ხან დამახინჯებული ქართულით იწოდებოდა. მინდა შევახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: «მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოჩნდა ერთი საქართველოს დაპარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოვლია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხილება და გულსა სწყვეს. და მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ შეიძინან ამოცრებილი სიტყვებით ჟივოსნო დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი». ეს არის დიდი აკაკის რჩევა მწერალ-მწიგნობართათვის.

მოდით, დავუკვირდეთ, როგორ ასრულებენ ახლანდელი მწერალ-მწიგნობრები დიდი პოეტის, ერის ნამდვილი სულიერი მოძღვრის რჩევას. მწერალთა

კავშირის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს, რომ მეგრულის ენად ხსენება დაუშვებელია და მეგრულის გამოყენება უნდა აიკრძალოსო. მისივე ჭკუით მოაზროვნემ, ქართველ პოეტად წოდებულმა ადამიანმა მიჯღარკე მოჯღარკული უწოდა მეგრულ ენას და ამით მთელ ქართველურს შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ ის ქართველ პოეტად არ შეიძლება ჩათვალოს. მან შეურაცხყოფა მიაყენა უძველეს ხალხს, რომელზეც «ისტორიის მამად» წოდებული პეროლოტე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში წერდა: «კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათ», რომელზეც აპოლონიოს როდოსელი IV საუკუნეში წერდა: «კოლხებს შენახული აქვთ რომაგან ნაწერი კვირები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი». იოანე ანტიოქელი ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში წერდა: «იაზონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხის მოღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემდნენ, არამედ იყო ოქონი ტყავზე ნაწერი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით».

ასეთი სულიერი სიმდიდრის მემკვიდრეებს შეურაცხყოფას აყენებენ ქართველ ინტელიგენტებად წოდებული უვიცები. არადა, ნებისმიერი ნორმალური ქართველი უნდა ამაყოფდეს იმით, რომ არსებობს უმდიდრესი ფენომენი – ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს.

საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, მოთხრობები, ესხვები, რომანებიც კი მეგრულ ენაზე. ცალკეული ენთუზიასტების, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტების მიერ მეგრული მეცნიერულად იკვლეოდა, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენა. გეკითხებით თქვენ და ვეკითხებით ქართულ ინტელიგენტებს, ფილოლოგებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს – რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა? დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობების ინტერესებში ეს დანაშაულებრივი ქმედებანი არ შეიძლება შედიოდეს.

ახლახან ბატონმა გიორგი სიჭინავამ მანუქა თავისი ლექსების კრებული მეგრულ ენაზე. ლექსებისა, რომლებიც იმდენად ლამაზია, იმდენად შინაარსიანია, ელვადია, მუსიკალურია, რომ მე ამ კრებულს მთელი ეს დღეები თან ვატარებ და ყველას, ვისაც შეიძლება აინტერესებდეს, ვუჩვენებ. ბატონი გიორგი გამოსცემს შესანიშნავ კურხალ «აია»-ს, სადაც ასევე მშვენიერი ნაწარმოებები იწერება. ამისხენით, რატომ არ უნდა იყოს ეს სფერო საქართველოს ხელისუფლების, ქართული ინტელიგენციის ზრუნვის საგანი? კატაგონურ ენაზე წერენ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები – ესპინასი, ტორესი, პორსელი, მაგრამ ისინი გამორჩეულ ესპანელ მწერლებად ითვლებიან. იმავე ესპანეთში არსებობს და წარტყებით ვითარდება გალისიური ლიტერატურა – ვარელა, კასარესი, მაგრამ ეს ეს-

პანური კულტურის განუყოფელი ნაწილია. რატომ არ შეიძლება მეგრულ ენაზე შექმნილი ლექსი თუ რომანი იყოს ქართული ლიტერატურის ღირსეული ნაწილი?

ბატონმა გიორგიმ მის მიერვე შედგენილი «ნანაში ნინა» მანუქა, რომელიც მეგრული ენის თვითმასწავლებელს წარმოადგენს და ნახეთ, რა სიტყვები აქვს ბატონ გიორგის წამდგარებულ წინ: **ჩემო პატარა მკითხველო, უნდა იცოდეთ, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კოლხ-იბერთა ქვეანაა. კოლხებსა და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, დღესაც კუთხეებად განტოტვილი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იყვებიან. ქართველი ერის აკეანი შორეულ აიაში დაიარწა და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდია:**

«ია ნანა, მარდუ ნანა, იანანინა».

თავდაპირველად იქნებ გეუცხოოთ მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის. ის ძველისძველია, თქვენი სისხლით ნათესავების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია».

მითხარით, რა არის ცუდი იმაში, რომ ქართველი მოსწავლე საქართველოს ყველა კუთხეში აბას წაიკითხავს, ამ ჭეშმარიტებას გაიცნობიერებს და, როდესაც სამეგრელოში თავის თანატოლების წრეში სტუმრად აღმოჩნდება, მეგრულის გაგონებაზე იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას? მოგეხსენებათ, რომ იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით, იქ ჯერ კიდევ 10 წლის წინ სკოლებში შემოდებული იქნა იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლება. იტალიელები რატომღაც თვლიან, რომ ეს ერის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. ასევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა სამი წლის წინ ბრეტონელებისა და კორსიკელების მიმართ, მაგრამ ჩვენს **«რეფორმატორებს»** სიამოვნებით გადმოაქვთ დასავლეთიდან ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ყოველად მიუღებელია ქართული ტრადიციული საზოგადოებისთვის, ქართული ეკონომიკისათვის, ქართული ეროვნული შეგნებისათვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც მართლაც მისაღებია, რომელიც ერის გაერთიანებას ემსახურება, ჩვენი ხელისუფლებისათვის მიუღებელია.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, მათ შორის შესაბამისი ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება. სწორედ ეს მიდგომა მისაღები უნდა იყოს იმ ხალხისთვის, იმ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, ვისაც ნამდვილად სურთ ქართველი ერის ისტორიულ-კულტურული ერთობის შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული თუ სულიერი მთლიანობის აღდგენა. ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის, სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა ქართველობის მტრობას ნიშნავს, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას. ეს მოღვაწეები ერის მტრებად

უნდა გამოცხადდნენ.

კიდევ ერთი თემა, რომელიც ძალზე აქტუალურია და გარკვეულ ახსნას მოითხოვს, მათ შორის ჩვენს ყრილობაზეც. ეს არის აფხაზეთის თემა. დღეს ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ ხელისუფლების მიერ პანკისის ხეობიდან მთელი საქართველოს გავლით, ჯერ სამეგრელოში, შემდეგ კი კოდორის ხეობაში გადაყვანილი ჩეჩენთა რაზმი გაურკვეველი მიზნით საომარ მოქმედებას ატარებს აფხაზეთში. აქაიქ გაისმის შეძახილები: სამეგრელო ამ ბრძოლაში უნდა ჩაერთოსო. ასეთივე შეძახილები, მოწოდებები, პრეზიდენტის მოთხოვნები იყო აფხაზეთის ომის დროსაც, იმ ომისა, რომლის შედეგად აფხაზეთიდან ორასი ათასზე მეტი ქართველი განდევნეს, დატაკი და გაუბედურებული ბედის ანაბარა დატოვეს, ათასობით ადამიანი კი დაიხოცა. ასეთივე შეძახილები იყო 1998 წელს გალში დატრიალებული ტრაგედიის წინა პერიოდშიც. იმ ტრაგედიისა, რომლის შედეგად გალში დაბრუნებული, ასე თუ ისე ცხოვრება-განახლებაზე ჩვენს ხალხს ისევ ყველაფერი დატოვებინეს და უსახლკარო ბრბოდ აქციეს.

და თქვენ გინდათ, რომ ამ უბედურებების, ამ არნახული ტრაგედიების ინიციატორისა და შემსრულებლის – ახლანდელი ხელისუფლების მორიგ შეძახილს, მორიგ პროვოკაციას, მორიგ ავანტიურას მე დაგუჯერო? ყანადი რომ გაგაძრცავს, მიამიტობა, სისულელე არ იქნება იმის იმედი, რომ ნაძარცვს დაგიბრუნებს? კაცი, რომელმაც თანამემამულეთა სისხლისა და უბედურების ფასად აფხაზეთი გაყიდა, ის აფხაზეთს დაგიბრუნებს? მეტი არაა ჩემი მტერი!

მე არ შემოძლია იმ კაცის კეთილი ზრახვების დაგუჯერო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო, რომელმაც ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ჩემი ხალხი გაუბედურებულიყო, რომელმაც არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველები გაყიდა, არამედ თვით სამეგრელო არა ერთხელ, არა ორჯერ, არამედ ხუთჯერ ზედიზედ გადაბუგა, დაამცირა და შეურაცხყო, რომელმაც ტელევიზიით ურეკადნენ და სამეგრელოს მშვიდი მოსახლეობისთვის ფეკილის გამოყოფას თხოვდნენ, პასუხად ესმოდათ: დაიხოცონ შიმშილით! ამ კაცს აფხაზეთის დაბრუნება და სამეგრელოს აყვავება შეიძლება უნდოდეს? მე არ შემოძლია, აგრეთვე, იმ ჩეჩენის კეთილი ზრახვების დაგუჯერო, რომელიც აფხაზეთში ჩემს ძმებს თავებს კეთდა, სისხლით ჭიქას ავსებდა და ჩემი თანამამობის სისხლს სვამდა, ხოლო დღეს აფხაზეთის დამბრუნებლად და ჩვენს მხსნელად გვევლინება.

ყველა წესის, ნებისმიერი ღოგიკის მიხედვით, მთი უმეტეს თუ ჩვენი ხელისუფლების აფხაზეთთან დაკავშირებულ მოღვაწეობას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე მოვლენები შემდეგნაირად დასრულდება: ისევ დაიდვრება სისხლი, ისევ დაზარალებული იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობა და შემდეგ დაიწყება პროპაგანდისტული კამპანია ასეთი ლაიტმოტივით: ომი წავაგეთ, 1998 წელს ვცადავთ, 2001 წელსაც, მათ შორის ჩეჩენების დახმარებითაც კი, ისევ შევეცადეთ აფხაზეთის დაბრუნებას, არაფერი გამოგვიდისო, აფხაზეთის დაკარგვას უნდა შევეგუოთო. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი, რაც კეთდება, იმისათვის კეთდება, რომ ქართველმა ხალხმა

აფხაზეთზე ხელი ჩაიქნოს.

აბა, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას უცხო შენაერთები გადაჰყავს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამით ხდება შეტაკებების პროვოცირება, ამასთანავე იცის, რომ ღტოვილითა დიდი ნაწილი მზად არის, საომრად წავიდეს აფხაზეთში და ამა-სობაში თვით ხელისუფლება თავისი **«განთქმული»** ჯარით, შეიარაღებით არც აპირებს ამ პროცესებში მონაწილეობის მიღებას? რა მამაცი ბიჭებიც არ უნდა იყვნენ პარტიზანულ რაზმებში, ნუთუ მათი ძალით შესაძლებელია აფხაზეთის დაბრუნება? ჩვენ თუ ეს ვიცით, ხელისუფლებამ არ იცის? ე. ი. რა არის ამაში ჩადებული? მორიგი დამარცხება, ახალი მსხვერპლი, ახალი უბედურება და შედეგად საზოგადოებაში იმ უიმედობის ჩასახვა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

თქვენ იცით, რომ მე აფხაზეთის მკვიდრი ვარ. მართალია, იქ აღარაფერი დამრჩა, ყველაფერი გადაწვეს და გადაბუგეს, მაგრამ მაშინაც და ბაზაქანების საფლავეები იქ არის, ისევე, როგორც მთელი ჩემი ნათესაობის დიდი ნაწილისა. და იმ წმინდა მიწის დაბრუნება ჩემი არა მხოლოდ ოცნებაა, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება. როცა ეს მოხდება, მე ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი მიღწეულია. მეტიც, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩემი ბოლოდროინდელი ჩართვა სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული.

კარგად მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კიდევ ერთი, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა ჰქვია. ალბათ, ბევრჯერ გსმენიათ, რომ მე რუსული ორიენტაცია მახასიათებს, რომ **«ერემლის აგენტო»** ვარ და ა. შ. აქ ჩვენ საერთოდ საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე. როგორც კი ვიწყებ ლაპარაკს ქართველი ერის შენარჩუნებაზე, საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, მართლმადიდებლობისა თუ ქართული ეროვნული თვითშეგნების გადარჩენაზე, მაშინვე **«ერემლის აგენტობას»** მატრალდებენ. მაგრამ ჩვენ, ვინც წლების განმავლობაში მიზანმიმართულად, დაუმალავად სპობენ ქართველობას, დიად უპირისპირდებიან ქართულ მართლმადიდებლობას, უარყოფენ ქართულ კოვონებას, ანადგურებენ ქართულ კულტურას და ცვლიან მას ამერიკული კულტურული სუროგატით.

რაც შეეხება ჩემს **«პრორუსულობას»**, მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია ისურვოს რუსეთთან ჩვენი მტრული ურთიერთობა. მხოლოდ იმ მხოლოდ იდიოტს შეუძლია იმ ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭება, რომლის ბაზარს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვისზეც აბსოლუტურად არის დამოკიდებული ყველა ეკონომიკური მიმართულებით, და სადაც ჩვენი ერის ერთი მესამედი ნაწილი იძულებითაა გადასახლებული, იქ მუშაობს და იქ ნაშოვნი ფულით კიდევ ერთ მესამედს სამშობლოში ინახავს. რა არის ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკის არსი? ლანძღვა, გინება, შეურიგებლობა, ხოლო კრიტიკულ მომენტში აბსოლუტურად ყველაფრის დაგმობა და ქვეყნის ჩაგდება კიდევ უფრო დიდ გასაჭირში. შეიძლება ეს პოლიტიკად ჩაითვალოს?

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

ალექსანდრე ჭაჭია: „ვისაც სამშობლო უყვარს, ვისაც ერის ნორმალური მომავალი სურს, ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია!“

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

დამისახელეთ ერთი ფაქტი მაინც, როდესაც შევარდნაძემ და მისმა გაუნათლებელმა მოლაყბე გუნდმა რამეში რუსეთს მოუგო ან მცირედენი ზარალი მიაყენა მაინც, მიუხედავად იმ სისტემატიური შეპარისა, ლანძღვა-გინებისა, სასაცილო და სამარცხვინო ულტიმატუმებისა, რომლებიც მუდმივად ისმის მათი მხრიდან. ვის და რატომ აწყობს ასეთი ურთიერთობა რუსეთთან? რას გვაძლევს ასეთი ურთიერთობა? მითუმეტეს დღეს, როდესაც რუსეთში ახალი ხელმძღვანელობაა, რომელსაც, ელცინის დროინდელი ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, უფრო გაეგება რუსეთისა და რუსი ხალხის ეროვნული ინტერესებისა, რაც მეტწილად შესაბამება საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებ ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვებს: **«მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმდიან აქვს თავს მოხვეუელი. ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა, მე მუდამ მივესწრავოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვიცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლური მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ რუსეთის ხელისუფლებას»**.

არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში უნდა იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ყველა მეზობელ ქვეყანასთან, ყოველგვარი ლანძღვა-გინების გარეშე, ნორმალური ურთიერთობების დამყარებას, შეძლებს დიდი ქვეყნების სამხედრო-სტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან შეკავშირებას. მხოლოდ ასე შეიძლება შენარჩუნდეს ქართველი ერი და ქართული სახელმწიფოებრიობა. ამის საშუალება საქართველოს გააჩნია, ვინაიდან უნიკალური და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს. და აქვს იმიტომ, რომ ღმერთმა ეს მდგომარეობა გვიბოძა, ოღონდ ერთი პირობით: ქვეყნის ხელმძღვანელობას თავში ტვინი, ხოლო გულში სამშობლოს სიყვარული უნდა ჰქონდესო. არაერთხელ მითქვამს და დღესაც მინდა გავიმეორებ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ (რა თქმა უნდა, მომავალმა, ვინაიდან ახლანდელის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს) დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ურთიერთმეგობრობისა და მათი გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინების პრინციპით უნდა ისევე მოქმედებდეს, მაგრამ ამასთანავე არასოდეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ გეოპოლიტიკური პროექტების რეალიზაციაში, რომელიც ქართველ ერს ზიანს მიაყენებს, თუნდაც ეს პროექტები ყველა დიდი ქვეყნის ურთიერთშეთანხმების შედეგი იყოს.

მოძრაობა **«სამეგრელოს»** როლისა და ფუნქციის თვალსაზრისით, დიდად მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობის საკითხი. ვინ უნდა იყოს მოძრაობის წევრი? მე მიმაჩნია, რომ ჩვენი კარი უნდა იყოს

ღია ნებისმიერი პიროვნებისთვის, ვისაც სხვა პარტიოტებთან ერთად სამეგრელოს განვითარება, მისი ჩიხიდან გამოყვანა სურს; ვისთვისაც მეგრული კულტურა, ენა, ტრადიციები, თვითმყოფადობა, სპეციფიკა ძვირფას და სანუკვარ განძს წარმოადგენს, ვინც ყველაფერ ამას ზოგადქართული მნიშვნელობის ფასეულობად მიიჩნევს. ჩვენივე არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი პარტიის, სხვა ორგანიზაციის წევრი არის ესა თუ ის პიროვნება, რა პარტიული თუ იდეოლოგიური დოქტრინის მატარებელია იგი. სამშობლოს სიყვარულში, წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ. თუ ჩვენ ამ პრინციპს დავიცავთ, მაშინ, შესაბამისად, დაცული იქნება ერის არსებობისა და განვითარების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი – მემკვიდრეობითობა.

მოგესხენებო, რომ ერი მარტო დღეს მცხოვრები ხალხი როდია. ერი წარსული, აწმყო და მომავალი თაობების ერთობლიობაა. ამ ისტორიული ჯაჭვიდან რომელიმე ერთი რგოლის ამოღებაც კი მემკვიდრეობითობას სპობს და ისტორიის სვლას წყვეტს. როდესაც ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩვენი ისტორიის რომელიმე პერიოდის კატეგორიულ უარყოფას, დაეწევაბას თხოვს, ამით ერის წინაშე დიდ დანაშაულს ჩადის. ერის ისტორიაში არ შეიძლება **«შავი სერგისი»**, სიცარიელის არსებობა. ერის არსებობის ნებისმიერი პერიოდი, რა ტრაგიკულიც და მიუღებელიც არ უნდა ჩანდეს ჩვენთვის, უადრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას განაპირობებს. ამიტომ, ვისაც რა სურვილი არ უნდა ჰქონდეს, ისტორიიდან ვერ ამოიღებ ვერც კომუნისტურ ეპოქას, ვერც ეროვნული ხელისუფლებისა და ვერც გაკორტებული შევარდნაძისა და ანტიეროვნული **«მოქალაქეთა კავშირის»** მმართველობის პერიოდს. ამ სამ ისტორიულ მონაკვეთს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დღეს მცხოვრებ ქართველობას სწორედ ამ პერიოდებში მოუწია მოღვაწეობა. ამიტომ ჩვენივე კატეგორიულად გამორიცხული უნდა იყოს პიროვნებისადმი მიღვთობა იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იგი ჩვენი უახლესი ისტორიის ამა თუ იმ წლებში, რაც ხანდახან გაისმის ჩვენს საზოგადოებაში. ზოგისთვის კომუნისტია მიუღებელი, მაგრამ ამაყვდება, რომ მისი მამა თუ ბაბუა, ბიძა თუ ძმა კომუნისტი იყო და როგორც შეეძლო, ისე შრომობდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მათ, რაც იმ დროს შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. მოდი, ჩვენ უკეთესად გაგვაკეთოთ, თუმცა დღემდე მსგავსიც კი არაფერი გაკეთებულა.

ზოგისთვის ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, უადრესად მნიშვნელოვანი პერიოდია მიუღებელი და არ ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ ამ პერიოდში ყველამ ერთად ვიგრძენით, რომ ერთიანი ორგანიზმი, ერთიანი ეროვნული სხეული ვართ, რომელსაც **«ქართველობა»** ჰქვია. ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც ქართველებისთვის ყველაზე ამაზრზენი, მიუღებელი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე **«მოქალაქეთა კავშირში»** გაერთიანებულია ბევრი ნორმალური, წესიერი,

შეიძლება მიაშიტი, შეიძლება რადიკალიზირებული პიროვნება, მაგრამ ისინიც ჩვენი ერის ნაწილი არიან და მათი უარყოფა ასევე დაუშვებელია. ვიმეორებ, რა პოლიტიკური მრწამსის, რა მსოფლმხედველობითი პრინციპის მქონეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, თუ იგი პარტიოტია, თუ მას სამშობლო უყვარს, თუ მას ერის ნორმალური მომავალი სურს, მაშინ იგი ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია.

მოძრაობის შექმნით, ჩვენ არ ვქმნიდით მორიგ პარტიას, **«მემარჯვენე»** თუ **«მემარცხენე»** ორიენტაციით, ჩვენ ვქმნით საზოგადოებრივ ძალას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სამეგრელოს საზოგადოების რეალურ ძალად გადაქცევა. ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს არა ვიროპარტიულმა ინტერესებმა, არა პარტიულმა მსოფლმხედველობამ, არა რომელიმე უცხო იდეოლოგიურმა დოქტრინამ, არამედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა პოზიციამ, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება – **«სამშობლოს გადაარჩენა»**. თქვენ იცით, რომ ახლახან შეიქმნა სრულიად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება **«ერთობა»**, რომლის დამფუძნებელი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილიან ერთად მეც გახლავართ. რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის თანათამაჯდომარეს, მსურს, რომ ამ გაერთიანების ორგანიზაციები მთელ საქართველოში არსებობდეს, ძალას ზრდოდადგენდეს, ავტორიტეტით სარგებლობდეს. მაგრამ, მიუხედავად ამ ჩემი პარტიული კუთვნილებისა, ხმაამდლა ვაცხადებ: ყველაზე ძლიერი, ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა სამეგრელოში სწორედ სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»** უნდა იყოს. ეს ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელიც მთელ მოსახლეობას გააერთიანებს, მთელი სამეგრელოს ინტერესების გამომხატველი იქნება, რომელიც იქნება ყველაზე ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი ძალა ნებისმიერ პარტიასთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას. ეს უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას დაუჭიროს მხარი საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელ კანდიდატურას დაუჭიროს მხარი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ანუ ეს უნდა იყოს ძალა, რომლის გადაწყვეტილება მთელი სამეგრელოს მხარდაჭერას ნიშნავს და იმ პარტიამ, იმ საარჩევნო ბლოკმა, პრეზიდენტობის იმ კანდიდატმა, რომელსაც სამეგრელოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერა დასტურდება, სწორედ ამ სახალხო მოძრაობასთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა და სწორედ მას უნდა მისცეს შესაბამისი გარანტიები, იქნება ეს საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობა თუ სამეგრელოში კონკრეტული ეკონომიკური პროექტების რეალიზება. ყველა სხვა შემთხვევაში, სამეგრელოს ხმებით მხოლოდ ისარგებლებენ და შემდეგ არჩევნებამდე ისევ დაიფიქვენ ჩვენს გასაჭირს, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა.

ყველა ის პრობლემა, რომელზეც ჩემი მოსაზრება მოგახსენეთ, ზოგადქართული მნიშვნელობისაა. მაგრამ არის, რა თქმა უნდა, უამრავი ისეთი პრობლემა, რომელიც დღევანდელ ჩემს გამოსვლაში არ აისახა და რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მე გააზრებულად ავარიდებ თავი იმ საგალალო მდგომარეობის აღწერას, რომელშიც დღეს იმყოფება საქართველო. ვინაიდან ვიცი, რომ დარბაზში განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული და საკმაოდ ინფორმირებული საზოგადოება ბრძანდება, ამიტომ უნდა შევძლებ იმ კატასტროფის, იმ საყოველთაო სისტემური კრიზისის აღწერა, რომელმაც ამჟამინდელი ხელისუფლების დანაშაულგბრივი ქმედებების გამო საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფერო მოიცვა. თუ რომელიმე კონკრეტული საკითხი გაინტერესებთ, გამოკვეთთ ნებისმიერი ფორმით, წერილობით თუ სიტყვიერად და შევეცდები, პასუხი გაცეკო. ერთი რამ მინდა მოგახსენოთ: იმ პოლიტიკური გაერთიანების ლოზუნგი, რომელიც ჩვენ ახლახან შევქმენით, არის – **«ერთობა – საქართველოს გადასარჩენად»**. ეს ჩვენი დევიზი, დიდი ვაჟას გულისტკივილის გამომხატველი სულისშემძვრელი სიტყვებია, რომლებიც დღესაც, სამწუხაროდ, აქტუალურია: **«ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო»**.

ნებისმიერი მეგრელისთვის საქართველოს სიყვარული სამეგრელოს სიყვარულით იწყება. არ მწამს იმ ქართველისა, ვინც დიდ გეოპოლიტიკაზე მსჯელობს, ხოლო მშობლიური კუთხის ბედი არ აღელვებს.

დღეს საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში საბედისწერო მომენტი დადგა. წყდება ერის არსებობის საკითხი. იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს ქართველი ხალხი უახლოესი ერთი-ორი წლის განმავლობაში, დამოკიდებულია მისი მომავალი. იმისათვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში, აუცილებელია ქართველთა ერთობა – ან ჩვენ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით იმ კატასტროფული საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, ანდა ფიზიკურად გადაარჩენილი ჩვენი შეიღებო და შვილიშვილები მათხოვართა, მაწანწალათა ბრბოდ გადაიქცევიან და ხანდახან გაისხენებენ, რომ ოდესღაც ღირსეულ ერს წარმოადგენდნენ და საკუთარ მიწაზე ცხოვრობდნენ.

მიუხედავად იმ საგალალო მდგომარეობისა, იმ კატასტროფული პირობებისა, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ შეუქმნა საკუთარ ხალხს, მე მაინც მწამს ჩვენი ერის სულიერი სიძლიერისა, შემართებისა, შენარჩუნებული ეროვნული ენერგიისა, გონიერებისა და სამშობლოს სიყვარულისა. დარწმუნებული ვარ და ყველა მინდა დავარწმუნო, რომ ჩვენს ხალხს შესწევს უნარი, შეწყვიტოს დამაქცეველთა ღრეობა, ეროვნულ სხეულს მოაშოროს უცხო, დამღუპველი ელემენტები, გაათავისუფლდეს სატანური გავლენისაგან და დადგეს განვითარების ნათელ, სწორ გზაზე, რომელი გზითაც ერთად სვლა ღმერთის მფარველობას დაგვიბრუნებს.

რამაზ შენგელია ბარდაიისვალა



ქართული ფეხბურთის ღამაში ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი დაიხურა – ქუთაისის **„ტორპედოს“** და თბილისის **„დინამოს“** ყოფილი ფორვარდი 20 ივნისს ღამე გულის შეტევით გარდაიცვალა.

მიუხედავად ფეხბურთის სამყაროში მოხვეჭილი დიდი ავტორიტეტისა, იგი სრულყოფილად არ გახლდათ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ფეხბურთელი. არა და, ერთის შეხედვით თითქოს მართლაც ასე იყო: რამაზს წარმოუდგენელი სიმსუბუქითა და ძალდაუტანებლობით გააქონდა ბურთები. თითქოს არც რაღაც თავბრუსდამხვევ ურთულეს ტექნიკურ თუ ტაქტიკურ ხერხებს იყენებდა, ისე ასწრებდა მეტოქეს

და გააქონდა გამარჯვების გოლები. რამაზ შენგელია 1957 წელს, ქუთაისში დაიბადა. 1973-76 წლებში, ის ქუთაისის **„ტორპედოს“** შემადგენლობაში ასპარეზობდა. 1977 წლიდან კი, ის თბილისის **„დინამოს“** ფეხბურთელია, რომლის შემადგენლობაშიც არაერთი დასამახსოვრებელი მატიჩა ჩაატარა და შესანიშნავი გოლებიც გაიტანა.

სწორედ განგებამ იწება, რომ რამაზის მამას ქუთაისის **„ტორპედოს“** სტადიონის ახლოს აუშენებინა სახლი. მამამისი ზრუნავდა, რომ შვილი ფეხბურთელი გამოსულიყო, პირადად დაჰყავდა ფეხბურთის სეკციაში. რამაზს იმითაც გაუმაართა, რომ, მისი პირველი მწვრთნელი გახლდათ წინელები სელექციონერი კარლო ხურციძე. ნორჩი ნიჭიერი ფეხბურთელების უდალატო მეგობარი, აღმზრდელი, გამომცდელი და მათი ინტერესების ენერგული დამცველი.

9 წლის ასაკიდან მოყოლებული, როცა ქუთაისის **„ტორპედოს“** ნორჩ ფეხბურთელთა გუნდში ჩაირიცხა, რამაზს შეუცვლელი ფორვარდი იყო იმ გუნდისა, რომლის სახელითაც გამოდიოდა. იგი უკვე უზადლო გოლვადორად ითვლებოდა, ხოლო ფეხბურთის საბოლოო მიზანი ყოველთვის იყო და იქნება ბოლო!

რამაზი იოლად გასაგები ფეხბურთელი რომ არ იყო, ამას მისადმი გულშემატკივართა დაბოკიდებულებაც მოწმობდა. იგი

ხშირად იცვლებოდა არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ თბილისის **„დინამოს“** სატურნირო ცხრილის რომელი საფეხური ეკავა, არამედ რამაზ შენგელიას მიერ ცალკეულ მატჩებში გატანილი ან აცდენილი ბურთების მიხედვითაც. გაიტანდა გოლვადორთა თავის ტრადიციულ **„კუთხედ“** ბურთს – ხომ კარგი; ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდენდა კარს – ვაი გოლვადორს!

სწორედ, თბილისის **„დინამოს“** შემადგენლობაში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი. რაც მთავარია, რამაზ შენგელია იყო 1981 წლის 13 მაისის – ევროპის თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი, ქართული კლუბის გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ქართველმა თავდამსხმელმა 26 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა. ევროტურნირებზე კი, 37 მატჩში 19 გოლი. 1978 და 1981 წლებში, რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 1981 წელს, 23 გატანილი გოლით ის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

1981 წელსვე, **„ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“** ყოველწლიურ გამოკითხვაში, შენგელია საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მე-7 ადგილზე გავიდა.

რამაზი ფეხბურთის სამყაროს მესხიერე-

ბას შემორჩა როგორც თავდამსხმელი, რომელიც ოსტატურად ფლობდა ბურთს, ჰქონდა საღი საფეხბურთო აზროვნება, დახვეწილი ტექნიკა, იმპროვიზაციის განუმეორებელი უნარი, შესაშური სისწრაფე შრომისმოყვარეობა...

რამაზი არც თუ დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა დიდ ფეხბურთში, მაგრამ მაინც სამართლიანად ითვლებოდა თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად. მას არაერთი გამორჩეული თვისება ჰქონდა – გოლის საოცარი ადლო, საჭირო მომენტში შესაფერის ადგილზე ყოფნის უნარი... როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, შენგელიას თამაშმა, მისმა განუმეორებელმა სტილმა გარკვეულწილად შეცვალა და გააფართოვა საგოლე მომენტებზე ტაქტიკური შეხედულებები.

რამაზ შენგელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი იყო.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“**, გახუთი **„ილორი“** ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქართული საფეხბურთო ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეული წევრის გარდაცვალებას გამო და თანაგრძნობას უცხადებენ რამაზ შენგელიას ოჯახს, მის ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

განახლებული მესხია უხელუასო მუშების სარჩულად



საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი ნიკო დადიანი ზუგდიდიდან გვატყობინებს, რომ მესხიაში სამშენებლო სამუშაოებს დასაქმებული მუშები გაიფიცნენ.

რამდენიმე თვის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მესხიაში სტუმრობისას განახლებულ მესხიაზე ისაუბრა და მასობრივი სამშენებლო სამუშაოები დააანონსა. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მესხიის ცენტრში მართლაც დაიწყო სასტუმროსა და მოედნის მშენებლობები...

თუმცა არც ისე კარგადაა საქმე, როგორც საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი ტელეეკრანებიდან გვიყვება ხოლმე. გასულ კვირას მესხიაში მშენებლობაზე დასაქმებული 100-მდე მუშა გაიფიცა და უკვე კვირაზე მეტია, იქ სამუშაოები შეწყვეტილია.

მიმდინარე წლის 15 ივნისს 100-მდე მუშამ მესხიის ცენტრში აქცია გამართა, თუმცა აქცია მუქარის გამოყენებით დაშალეს. გაფიცვისა და აქციის

გამართვის მიზეზი კი ის გახდა, რომ უკვე სამი თვეა, მუშებს ხელფასი არ აუღიათ – მესხიის მაჟორიტარი დეპუტატის – კახა კვიციანის კუთვნილ კომპანიას, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს, მათ მიმართ სახელფასო დავალიანების სახით ჯამში, დაახლოებით, 100 000 ლარი დაუგროვდა.

აქციის ადგილზე მედიის წარმომადგენლების მისვლისას მხოლოდ რამდენიმე მუშაა იყო დარჩენილი, რადგან, როგორც მათ განმარტეს, კვიციანმა შეიტყო იმის შესახებ, რომ მუშები ჟურნალისტებს დაუკავშირდნენ და მათ სამართალდამცველებთან ერთად ეახლა.

„კახა კვიციანი მოვიდა და ბოდიშის ნაცვლად გინება დაგვიწყო. უნდოდა, გამოეწვიეთ და ჩხუბი ამტყდარიყო, ჩვენც მოგვექნია ხელი, მაგრამ ისევ ჩვენ დაგზარალებოდით და გაგჩერდით. აქ რასაც გვიყვრებთ, სუთი ამდენი ვიყავით, მაგრამ შეაშინეს ხალხი და დაიშალნენ. სამი თვეა, ხელფასი არ მიგვიღია, ჩვენ მხოლოდ კუთვნილ ანაზღაურებას ვითხოვთ, მეტს არაფერს“, – აცხადებს საქინფორმთან საუბრისას ერთ-ერთი მუშა გიორგი ავალიანი.

მისივე განმარტებით, კვიციანის კომპანიის ხელმძღვანელობა მათ ხელფასების ღირებულებას 18-19 ივნისს დაჰპირდა და იმ შემთხვევაში, თუ კვლავ მოატყუებენ, მუშები საპროტესტო აქციებს განაახლებენ.

საქინფორმი რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა მესხიის მაჟორიტართან დაკავშირებას, თუმცა კახა კვიციანი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

ნიკო დადიანი

ჭიჭიკო ბარამია – 80 წლისაა



ჭიჭიკო ბარამია დაიბადა 1932 წლის 29 ივნისს ქალაქ ოჩამჩირეში. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა ოჩამჩირის მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა სარატოვის საავტომობილო-სავაზო უმაღლესი სასწავლებელში – სამშენებლო ფაკულტეტზე. იყო კარგი სტუდენტი, სპორტსმენი, იცავდა უმაღლესი სასწავლებლის ღირსებას ფეხბურთში.

უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ქალაქ ტყვარჩელის სამშენებლო ტრესტ „ტყვარჩელმშენის“ სარემონტო კანტორაში მთავარ არქიტექტორად, სადაც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, რის გამოც ოჩამჩირის საზოგადოების გადაწყვეტილებით მას მიენიჭა რაიონის საუკეთესო არქიტექტორის წოდება.

1980 წელს ჭიჭიკო ბარამია დაინიშნა არქიტექტურისა და

მშენებლობის განყოფილების უფროსად ოჩამჩირის რაიონ-მასკომში, სადაც იმუშავა 1993 წლის სექტემბრამდე. აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დამთავრების შემდეგ, დღემდე იტულებით გადაადგილებულთა შორისაა და ცხოვრობს ქალაქ ზუგდიდში. დევნილობის პერიოდშიც 10 წელზე მეტი იმუშავა ოჩამჩირის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე და კეთილსინდისიერად ემსახურა რაიონიდან დევნილ მოსახლეობას.

ჭიჭიკო ბარამიას განმარტებით სტრესის გადატანაში ძალიან დიდი როლი ითამაშეს მისმა ზუგდიდელმა მეგობრებმა. ზუგდიდელებმა მის მიმართ გამოიჩინეს დიდი ყურადღება და პატივისცემა, რის გამოც ყველას უხდის დიდი მადლობას. ის ძალიან განიცდის, რომ დევნილობისას ზუგდიდში გარდაეცვალა მეუღლე ქალბატონი ლილა ჯოჯუა, ოჩამჩირის რაიონის ინფექციური საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი.

ჭიჭიკო ბარამია არის უაღრესად კეთილი, ღმობიერი, ოჯახისა და მეგობრების მოსიყვარულე, არის ორი ვაჟიშვილის მამა. მას, როგორც ნაღდ და დიდ ოჩამჩირელს, განსაკუთრებით უყვარს თავისი ქალაქი. იგი დიდი სიყვარულით იხსენებს ოჩამჩირეში გატარე-

ბულ ცხოვრების პერიოდს, თავის სამეგობრო წრეს, რომელთა შორის იყვნენ: ბორის ადღეიბა, კუტკა აშხა-ცავა, ქაზიმ ნარაქიძე და ბევრი სხვა. სადაც მას უმუშავია და უცხოვრია, ყოველთვის იყო გამორჩეული თავისი ცხოვრების წესით, ინტელექტით, ადამიანური თვისებებით. თავისი კაცობით მან დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი და საზოგადოების სიყვარული.

ჭიჭიკო ბარამია ბრძანდება მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი. დაჯილდოებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საპატიო სიგელებით. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დღის წინ დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა მის ძმას გრიშა ბარამიას, რომელსაც გულ-თადად ულოცავენ ოჩამჩირის საზოგადოების წარმომადგენლები.

ბატონ ჭიჭიკო ბარამიას გულ-ოცავე 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, მხნეობას და დაბრუნებას თავის საყვარელ ოჩამჩირეში.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, მეგობრების სახელით,

რამინ საჯანია

ზაურ ჩქვანავა 75 წლისაა



ბატონი ზაურ ჩქვანავა დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიაში – 1937 წელს. დაამთავრა ჩხორობის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამავდროულად მუშაობდა ზუგდიდის ენგურქადალდკომბინატში მუშად. სიყმაწვილიდანვე გამოჰყვა შემოქმედებითი საქმიანობის დიდი ნიჭი – აქტიურად თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთებთან „ენგურის მუშა“ და „მებრძოლი“, სადაც ქვეყნდებოდა მისი ლექსები და სტატიები.

1958 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე და ამავდროულად თანამშრომლობდა დაიწყო ქალაქის ადგილობრივ და ცენტრალურ პრესასთან. უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი. მიუხედავად დაბაბული მეცნიერული საქმიანობისა, მაინც აქტიურად ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას – სისტემატურად აქვეყნებდა პუბლიკაციებსა და თავისუფალი შემოქმედების ნიმუშებს. მოგვიანებით ბატონმა ზაურმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი სადოქტორო და მიენიჭა ეკონომიკის პროფესორის წოდება.

წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის ფილიალში: ახალციხეში, ზუგდიდსა და სოხუმში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოგვიანებით დამკვიდრდა ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ საკუთარი ინიციატივით დააარსა გაზეთი „მარჯი“ და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ხუნტას და მის თანამხრახველებს.

1996 წელს გახსნა კერძო უმაღლესი სასწავლე-

ბელი – ქოული შარტავას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, სადაც აღიზარდა ასობით სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტი. 1991 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული „გარდასულ დღეებს ავედევნები“

ბატონო ზაურ!

უკვე 75 წლისა გამსდარხართ, რასაც გულითადად გილოცავთ და მოგესალმებით!

თქვენ, ჯერ კიდევ 1997 წელს, მანუქეთ თქვენი ლექსების კრებული, სახელწოდებით „გარდასულ დღეებს ავედევნები“, წარწერით: „ქნ მედღა მანჯ-გალაძეს, ადამიანს, რომელმაც ყველაზე ღრმად, ყველაზე ობიექტურად აიჭკა და შეაფასა ეს პატარა კრებული...“ მაგრამ, ბატონო ზაურ, ამ „პატარა“ კრებულს ისეთი ღრმა შინაარსი აქვს, რომ მე დღემდე აღფრთოვანებული ვარ – თითქოს ჩემზე, ჩემს სოფელზე, ჩემს დედაზე დაგვეწოთ სულის ამაფორიაქებელი სიტყვები. ჩემთვის ძალიან ახლოა, აი, ეს უბრალო, მაგრამ გულის ამაწყველებელი გამონათქვამები, რომლებიც ზოგმა არც კი იცის თუ რას ნიშნავს: ბონდი, ბინული, საჩხე, ხარდანი, ღელერჭი, ბოლდა, ბარხაღა, სოველი, მწუთხე, ჩელტი, ბია... თქვენ და თქვენი პოეზია მუდამ ჩვენთანაა, როცა „სიკეთე ბოროტს უკვე შეება, უფალი გვაფენს ძღვეის დაფიონს...“

ბატონო ზაურ!

მინდა თქვენივე გულიანი სიტყვებით გისურვოთ, რომ თქვენი ნიჭის სკივრი სიყვარულის გასაღებით გაღებულიყო, თქვენს სამშობლოს არასოდეს სჭირდეს ერთობის უკმაძისობა, რაზედაც თქვენ ძალიან დარდობთ... არ ჩამოგვდეთ სიცოცხლის ბონდი, გაგთავებოდეთ ტკივილი და თქვენს დღეებს ვერ ფარავდეს გადავიწყების მრუმე წყვილი, მუდამ გსურებოდეთ იმედის საბანი, თქვენში მუდამ ღვიოდეს კაცობის ნათელი, იმედის აცმა არ წაგკეცოდეთ და თქვენ და ჩვენს ერთიან საქართველოს მუდამ გფარავდეთ დედა ღვთისმშობელი, ხოლო მომავალში თქვენი ლექსების სტროფებში სიტყვები ისე დამსხდარიყვნენ, როგორც მავთულზე მერცხლები.

ბატონო ზაურ!

დღეს საქართველო – ჩვენი ბედკრული სამშობლო მართლაც შვე დღეშია, ამიტომაც მინდა ეს მიძღვნა თქვენივე ლექსის „დაგომისი“-ს ერთი კუპლეტით გავასრულო:

„საქართველო – ჯვარს გაკრული
დავითის და თამარისი,
საქართველო – ხელგაწვდილი
ილიას და აკაკისი,
საქართველო – ცოდვისა კალო
ზვიადის და მერაბისი...“

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,
მეიდა მანჯაბაძე,
თბილისი

მეგობრობა სად

არის

ბოროტი ენგურს წაუღია

ძმობის ხიდიც არ არი!

მტრობა, შური რომ ზეიმობს

მეგობრობა სად არი?!

აქ სიკვდილის ცელი ელავს

და სიცოცხლე არ არი,

სიკვდილს თვალში რომ

გვშურებთ,

სიყვარული სად არი?

ეს ჯოჯოხეთს უფრო რე ჰგავს,

აფხაზეთი არ არი.

მტერი თუ გემტრობს და თუ

გვხოცავს,

„ჯიმაჩაფილ“ სად არი?!

ქართველს დედა რომ და-

სტირის,

აფხაზისა სად არი?!

თუმცა რაა ეგ ცრემლები,

ორივესი არ არი?!

ბოროტი ენგურს წაუღია,

ძმობის ხიდიც ჩაიმტვრა,

ეს, რამხელა მეგობრობა,

რა უცრად დამსხვრა...

ბადრი

შენს სახელს სათუთად

ვიგონებთ,

შეხვედრებს ხალისი აკლია!

იცოდე შენადაც ტაძარში,

რომ ისევ სანთელი ანთია.

ცაც ისევ იმავე ფერია.

ჩიტებიც იგივეს მღერიან!

დღე კი გავს ჩუმსა და სევდი-

ანს!

შენ თითქოს სუყველგან

გელიან.

მომენატრა შენი ხმა,

თბილი სახის ხილვა,

უხალისოდ თენდება

თბილისური ღილა.

პოეზიის ყაფიხე

მენაბრები

მენატრები ჩემო თბილო

საყვარელო სენაკო,

სიტაბუკვე ველ-მინდვრებო,

ყანებო და ვენახო.

ეკის მთები მიყვარს შენი,

შხეფის ციხე ამაყი,

დელამიკა, ქუჯის ციხე,

შენი ხალხი ღამაში.

ყურს ჩამესმის ტესურის ხმა

შენი გულის ძგერა.

მის ნაპირზე ანამდერი

ხეივანს ტკბილი ჩელა.

ჩიტი აფრენილა

მთას

ჩიტი აფრენილა მთას

ფოთოლი გაჰყოლია ქარს

თევზი ამომხტარა ზღვას

მგზავრი დადგომია გზას...

ძმამ რად ესროლა ძმას,

ცრემლი დასდენია დას,

სხვის ჭირზე უცინია სხვას,

მგზავრი აცდენია გზას...

დელას ცალი ბუბუ წავეს!

ცრემლით უტირია ქვას!

ძმა რად მოუკლავს ძმას?!

მგზავრი რად აცდენია გზას?..

რა დამართა ხალხს?!

ნეტავ ვინ ამღვრევს წყალს?!

ძმის ხელით ვინ კლავს ძმას?!

მგზავრი ვერ პოულობს გზას...

როზმან ქამაღაძე,

სენაკი

ივანიშვილი სამეგრელოში: „ნაციონალური“ დახვედრა და კალაღობა შერნალისტზე



საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი ნიკო ღაბიაძე ზუგდიდიდან იტყობინება, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მიმდინარე წლის 12 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფლების მოსახლეობას შეხვდა. კოალიციის ლიდერი სოფლების – ოდიშისა და ორულუს – მცხოვრებთ მათ პრობლემებზე ესაუბრა და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ამ პრობლემების გადაჭრას დაჰპირდა.

ივანიშვილს ორივე სოფელში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები „მიშა! მიშა!“-ს შეძახილებით დახვდნენ. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მსგავს გამოსვლებს სოფელ ორულუსში ჰქონდა, სადაც „ნაციონალურის“ მომხრეთა უმეტესობა არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შეხვედრის ადგილების მიმდებარე ტერიტორიებზე დროდადრო ჩნდებოდნენ ზუგდიდის საკრებულოს „ნაციონალი“ წევრები, მათ შორის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ სხულუხია და საკრებულოს საფინანსო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გაბუნიას, რომელთაც ვადუკაძეების დანახვისთანავე ადგილები დაეტოვეს.

როგორც საქინფორმისთვის გახდა ცნობილი, სოფელ ორულუსში ივანიშვილის ვიზიტის წინა დღეს, მიმდინარე წლის 11 ივნისს, საკრებულოს „ნაციონალი“ წევრებს თავიანთი ადგილობრივი აქტივისტებისთვის „შურმარილი“ მიურთმევიათ და სათანადოდ დაურთიყვანიათ, თუ როგორი დახვედრა უნდა მოეწყოთ კოალიციის ლიდერისთვის.

რომელიც არათუ აღელდა ამ დახვედრის გამო, არამედ ამ ადამიანებთან შეხვედრის სურვილიც კი გამოთქვა, თუმცა ივანიშვილთან მიახლოება „ნაციონალურის“ არაფხიზელმა აქტივისტებმა ვერ გაბედეს.

ამ შეხვედრას კიდევ ერთი ინციდენტი ახლდა: ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ჟურნალისტი პაატა ლაგვილაძე შეეცადა, ის ადამიანები ჩაეწერა, რომლებიც ივანიშვილის წინააღმდეგ სხვადასხვა ფრაზას სკანდირებდნენ, თუმცა რამდენიმე მათგანმა ჟურნალისტის მოვკრება ძალადობრივი მეთოდებით სცადა – ლაგვილაძეს ჯერ მიკროფონი წაართვეს, შემდეგ კი ხელები გადაუგრიეს.

საქინფორმი შეეცადა, ზუგდიდის საკრებულოში გაერკვია, რატომ დაახვედრეს ივანიშვილს აქტივისტები საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა და რა მიზნით ხელცეს წინა დღით მათ ალკოჰოლიანი სასმელი, თუმცა ჩვენი სააგენტოს, ისევე, როგორც სხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტებს, საკრებულოში შესვლის საშუალება კი არ მისცეს.

ბაზეთის მთავარი რედაქტორისაბან – როცა ამ ადამიანის სახელგანთქკი, ალკოჰოლისაგან თავგამოთყვანებული არსებების საქციელი ტელევიზიით ვნახე, პირველად შემრცხვა ცხოვრებაში იმის გამო, რომ მეც სამეგრელოდან ვარ წარმოშობით. უცხო თვალი გაიფიქრებდა, რომ კოლხეთს არავითარი კულტურული წარსული არ გააჩნია და მასში ყოველთვის ასეთი ბარბაროსი არამზადები დომინირებდნენ. აჩვენეთ ზუგდიდის საკრებულოდან სიტუაციის ასარეგად გამოცხადებულ პროვოკატორებს ეს სატელევიზიო კადრები სიფხიზლისას და თუ არ შერცხვით, ჩათვალეთ, რომ ისინი სამუდამოდ არიან დაკარგული იმ საქართველოსათვის, რომელსაც შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ააშენებს ქართველი ხალხი.

ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ! ახალგაზრდობაში მეც სპორტსმენი ვიყავი და ფიზიკურ სრულყოფასთან ერთად შთაგონებული გვექონდა, რომ სპორტსმენი უნდა იყოს ზრდილი, სუსტის ქომაგი, სამშობლოს პატრიოტი და, რაც მთავარია – სამართლიანი. კარგია, რომ ამის თაობაზე იმ ზუგდიდელმა „კიბოქსინგის“ მიმდევრებმაც იცოდნენ, ხბოს აღტაცებით რომ ბლაოდნენ “მიშა, მიშა!”, მაგრამ, ღრმად

ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყნის დამანგრეველ “ნაციონალურთან” წილნაყარ ამ “სპორტსმენებს” არც სპორტზე გააჩნიათ სრულყოფილი წარმოდგენა და არც სპორტსმენის ეთიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ “ნაციონალი”, არ შემძლია პატივისცემით არ აღვნიშნო პარლამენტარის, რამდენიმე კაცის ღონის მქონე გიორგი ასანიძის ვაჟაცხური საქციელი, რომელმაც ვიღაც გაწრიპული ახალგაზრდის მიერ წყლის შესხმისას მხოლოდ გაიღიმა და გზა განაგრძო. წარმოვიდგენიათ, რა მოხდებოდა, მას რომ ეს ახალგაზრდა ხელში მოეგდო? აი, ეს გახლავთ პროფესიონალი სპორტსმენის ღირსეული საქციელი, რომელიც უნდა დააფასო, თუნდაც იგი შენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყოს! თქვენ კი ეს არ ძალგით, რადგან თქვენ სპორტსმენები კი არა ხართ, ზუგდიდელი “კიბოქსინგები”! თქვენ ის ხალხი ხართ, რომელსაც მხოლოდ ზულიგნური ჩხუბი ეხერხება და და თქვენზე ბევრად სუსტ დემონსტრატსაც კი დაუნდობლად დაუზგრევთ გვერდებს, თქვენი “ხაზინების” დავალებით, ან სამადლოდ გადმოგდებული კაპიკების სანაცვლოდ!

თქვენ კი, გული არ გაიტეხთ მათი უმსგავსოებით, ჩემო ძმებო, მეგრელებო, რადგან ოჯახი არ არსებობს მახინჯის გარეშე და თუ ამხელა კუთხეში რამდენიმე უჯიშო ავაზაკი ბოგინებს, მათი სასირცხვილო საქციელი სრულიადაც არ არის მთელი კუთხის ტრაგედია.

სიმართლე გითხრათ, შემდეგ ოდნავ დავმშვიდდი, როცა იგივე უმსგავსოება გაიმეორეს ზემო აჭარაში, ივანიშვილის ვიზიტისას, და გარდევული მთვრალი საკრებულოს თუ სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები ერთხმად ღრიალებდნენ “მიშა, მიშა“-ს. უბრალოდ, გასაკვირია, საიდან მოუყარეს თავი ნაციონალებმა ამდენ საღახანას, თუმცა, განა არ იცით: “რაც ალხანაა, ის ჩალხანაა”!

მე, უბრალოდ, ჩემს მშობლიურ კუთხეზე მწყდება გული და არც ის სენაკელი პოლიციელები მემეტებიან საციხედ, რომლებმაც შეითხინილი ბრალდების საფუძველზე დააჯარიმებინეს სასამართლოს ის მძღოლები, რომლებიც ოზურგეთის აქციაზე აპირებდნენ წასვლას.

მიხდა გავაფრთხილო ეს ხალხი, რომ ნუ ჩაყვებიან მოუსაგლეთში სააკაშვილსა

და მის გარემოცვას, რომელთაც საკმაოდ დიდი ფული აქვთ ნაშოვნი და პირველივე საფრთხისთანავე ღურთავენ თავს საზღვარგარეთ. იმ საწყაღმა პოლიციელებმა კი ჩვენს გვერდით უნდა გააგრძელონ ცხოვრება. ისინი უკვე გაფრთხილებული არიან, რომ პასუხისგებაში წავლენ მხოლოდ ის საჯარო მოხელეები, რომელთაც ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული. უსაფუძვლოდ კი, ადამიანების დასჯა, თუნდაც ფულადი ჯარიმებით, სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ, სენაკელმა პოლიციელებმა უნდა იცოდნენ, რომ შემოდგომაზე, მათ, აუცილებლად მოუწევთ სასამართლოს წესით პასუხისგება. ხოლო მათ, ვისაც ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა არჩევნების გაყალბების გზით მოახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას, ცივი წყალი უნდა გადავასხა, რადგან ამას უკვე ქართველი ერი აღარ დაუშვებს და წინ აღუდგება ხელისუფალთა თვითნებობას. და ეს არ იქნება სამოქალაქო ომი, რადგან სამოქალაქო ომში ერთმანეთს ორად გახლეჩილი საზოგადოება უპირისპირდება. ამ შემთხვევაში კი შიშაძლეული ქართველი ხალხი დაუპირისპირდება მოძალადე ხელისუფლებას და საწადელსაც მიაღწევს. ამიტომაც არ ვახსენებთ იმ სენაკელ პოლიციელთა გვარებს, რომლებმაც აღნიშნული მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, რათა შემდეგ სასამართლოში არ მოგვიწიოს მათ წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი ისედაც არ დარჩებიან დაუსჯელები.

ჩვენ გვიხდა გავაფრთხილოთ ის სხვა პოლიციელებიც, რომლებიც ჯერ კიდევ მზად არიან შეასრულონ კრახისათვის განწირული სააკაშვილის ხელისუფლების უკანონო ბრძანებები.

გაუფრთხილდით თქვენს თავისუფლებას, ძმებო, ნუ გადევნებთ სააკაშვილს და მის ძირმომხად, ფუქიმორეულ ხელისუფლებას პოლიტიკურ საფლავში! მათ ხომ ხალხის დაშინების გარდა სხვა რესურსი არ გააჩნიათ!

თქვენ მაშინ უფრო დასჭირდებით სამშობლოს, როცა საძულველ მოძალადე სააკაშვილს და მის ბანდას მოეშორებთ თავიდან და ქვეყანაში ნამდვილი აღმშენებლობითი შეუქცევადი პროცესები დაიწყება!

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საპატიმროებში 653 ადამიანი გარდაიცვალა

„ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საპატიმროებში 653 ადამიანი გარდაიცვალა. ეს არის ფარული ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, რაზეც სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელი. აუცილებლად უნდა დადგეს მინისტრ კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან მისი მინისტრობის პერიოდში ყველაზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა. ჩვენ ვიწყებთ კამპანიას მის წინააღმდეგ და უახლოეს დღეებში სხვა გაუნმარებელი ფაქტების გამოქვეყნებასაც ვაპირებთ“, – ამბობს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი შნა ნანუაშვილი:

– ერთი თვის წინ კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა, რაშიც პირადად ჩემთვის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს როლი ეჭვგარეშეა. პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობით არავინ დაინტერესებულა, არ ჩატარებია შესაბამისი მეურნეობა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. მეორეც, მომხდარი სამინისტრომ არ გაახმაურა, მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ვალერი ჯაფარიძის სანახავად ჩვენი ადვოკატი შევიდა. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, ხათუნა კალმახელიძის მინისტრობის პერიოდში, 2010-2011 წლებში საპატიმროებში 282 პატიმარი გარდაიცვალა.

– „გარდების რეგულაციიდან“ დღემდე სულ რამდენი პატიმარია გარდაცვლილი? – ზუსტი მონაცემები არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ 2006-2011 წლებში დაახლოებით 653 პატიმარი გარდაიცვალა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც ეს ქალბატონი გახდა მინისტრი, პატიმრების გარდაცვალების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა. მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში უკვე სტაბილურია – დაახლოებით 23-25 ათასი.

– ამის მიზეზად რას მიიჩნევთ? – პირველ რიგში იმას, რომ არ ზრუნავენ პატიმრების ჯანმრთელობაზე. მეურნეობაზე დაგვიანებით, როცა პატიმარი უკვე სიკვდილის პირასაა, არ ხდება იმ პატიმრების იზოლაცია, რომლებიც გადამდები სენით არიან დაავადებულნი, შესაბამისად, იზრდება ავადმყოფი პატიმრების რიცხვი, ციხე გადაიქცევა ერთგვარი დასჯის ადგილად, სადაც არავინ ზრუნავს ადამიანის გამოსწორებაზე, პატიმრის რესოციალიზაციაზე. ვინც საპატიმროში ხვდება, ყველა არის არანორმალური მოპყრობის ობიექტი, იქ დამკვიდრებულია ცემა, წამება, არაადამიანური მოპყრობა. ფაქტობრივად, არ ხდება ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების დასჯა, რომელთაც ბრალი მიუძღვით პატიმრების ცემა-წამებას თუ აბუნად ავადებაში და სხვა. ბადრაგს, ციხის ადმინისტრაციას ყველაფრის უფლება აქვთ, მათ არავინ პასუხს არ სთხოვს. ხელსაც ვერავინ უშლის, ვინაიდან პენიტენციური სისტემა არის დახურული, საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, რა ხდება იქ. მხოლოდ სახალხო დამცველსა და ადვოკატებს შეუძლიათ ინფორმაციის გამოტანა, როდესაც კორკრეტულ საქმეზე შედიან ციხეში. ყველაფერი დანარჩენი საზოგადოებისათვის და მედიისთვის უცნობია. კომუნიკაციის პერიოდშიც არ ყოფილა ეს სისტემა ასეთი დახურული – როდესაც ციხეში პოლიტპატიმრები შიმშილობდნენ, ინფორმაცია რადიოსადგურ „ამერიკი იტელ“ კი აღწევდა და მსოფლიო იტელა ამის შესახებ. 2008 წლის აგვისტოს ომში 412 ქართველი დაიღუპა, მშვიდობიან დროს კი მხოლოდ საპატიმროებში 653 ადამიანი გარდაიცვალა. ეს არის ფარული ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამავა პასუხისმგებელია სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა. ამიტომაც უნდა დადგეს მინ-

ისტრ კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენ ვიწყებთ კამპანიას მის წინააღმდეგ და უახლოეს დღეებში სხვა გაუნმარებელი ფაქტების გამოქვეყნებასაც ვაპირებთ. სამინისტრომ გააგრძელა განცხადება ვალერი ჯაფარიძის გარდაცვალების ფაქტზე, თითქოს ჩვენ შეცდომიში შეგვაყვას საზოგადოებასა და ძიება მიმდინარეობს, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა...

– თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ჯაფარიძის გარდაცვალებაზე?

– როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ადამიანს ჰქონდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, გარდა ამისა, ჯაფარიძე ამბობდა, რომ სასტიკად სცემეს დაკავებისას, მაგრამ არც ამაზე მომხდარა რეაგირება. არ არის გამოცხადებული, რომ სწორედ ცემა და დაზიანებების შედეგად გულისრეა და დაავადებული, მიუვიანებით კი არ გაუწიეს სათანადო სამედიცინო დახმარება. არც გამოძიება ჩატარებულა, რომ დადგენილიყო, ვის მიუძღოდა ამაში ბრალი, ან რატომ დაავადდა ასე მძიმედ ჯანმრთელი ადამიანი. სწორედ ამის გამო ჩნდება ეჭვი, რომ იგი იყო წამების მსხვერპლი. ასეც რომ არ ყოფილიყო, ციხის ადმინისტრაციას ევალება, სათანადოდ იზრუნოს ნებისმიერი პატიმრის ჯანმრთელობაზე.

– ექსპერტიზა თუ ჩუტარდა გვამზე?

– არა. ახლა ვითხოვთ ექსპერტიზას. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჯაფარიძე 19 მაისს გარდაიცვალა. არ გამოვრეცხავთ, რომ ეს უფრო ადრე მოხდა, უბრალოდ, გვიან გახდა ცნობილი. პატიმრის გარდაცვალების შესახებ დაწყებულია არც ადვოკატისთვის უცნობებია, არც – ოჯახისთვის. ადვოკატი რომ შევიდა მის სახახავად, 15-20 წუთს ელოდა, ატყდა ჩოჩქოლი, პატიმარი ვერ პოულობდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ გვამი პროუქტურაში იყო.

– თუ გაქვთ ზუსტი რიცხვი, რამდენი პატიმარია დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და რამდენი – გარეთ, ანუ პრონაციონერი?

– საქართველოში დღეს დაახლოებით 25 ათასი პატიმარია, პირობითი მსჯავრდადებული კი 35 ათასამდე. საერთო ჯამში პატიმართა რიცხვი საკმაოდ დიდია – 60 ათასამდე. ამას თუ დავუმატებთ მათი ოჯახის წევრებს, მივიღებთ 300 ათას ადამიანს, რომელიც არჩევნების დროს საკმაოდ სერიოზული ძალაა. ხელისუფლება ცდილობს ამ ადამიანებსა და მათი ოჯახის წევრებზე უხეშ ზემოქმედებას, რათა მათი ხმები ნაციონალების იქით რომ არ წავიდეს.

როგორც ვიცი, საპატიმროებში 3.000-მდე ადამიანია, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცემა. ლაპარაკია მსუბუქ დანაშაულზე მსჯავრდადებულებზე, თუმცა გაირკვა, რომ პარლამენტი იღებს რამდენიმე კანონპროექტს, ნარკო-დანაშაულში ბრალდებულ პირებს სასჯელი რომ შეუმცირდეთ. ბრალდებულების ასეთი კატეგორია მრავალრიცხოვანია და თუ მათ შეუმცირდათ სასჯელი, არ არის გამოცხადებული, კანონის მიღების შემთხვევაში, 25 ათასი პატიმრიდან ნახევარი გახდეს ამომრჩეველი. არსებობს ეჭვი, რომ ეს გამიზნულად ხდება, ხელისუფლებამ მაქსიმალური ხმები რომ მოავროვოს. ასეთ შემთხვევაში, პარტიებს უნდა მიეცეთ საშუალება, ჩაატარონ წინასაარჩევნო კამპანია ციხეში, მაგრამ როგორ ჩაატარებენ, ჩემთვის გაუგებარია. პატიმრებისთვის პრესა და ტელევიზია ხომ უნდა იყოს ხელმისაწვდომი? იმ საკანონმდებლო ინიციატივების ფონზე, რომლებიც ახლა ხორციელდება საქართველოში, არ გამოვრეცხავ, რომ არჩევნები გაყალბდეს, თუმცა მათ ესეც ვერ უშეულის!

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიოგრაფიას ჯალალნიას პასილ მაისურაძე — ნარმატაბის ფორმულა



მიმდინარე წელი ჯერ სანახევროდ არ გასულა, მაგრამ უკვე შეგვიძლია წლის უმთავრეს საფეხურთ მოვლენად საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წარმატება მივიჩნიოთ. ჩვენმა 17-წლამდელთა ჯერ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლიეს, შემდეგ თბილისში გამართულ ელიტარულში ესპანეთს, ინგლისსა და უკრაინას აჯობეს, სლოვენიაში გამართულ ფინალურ ეტაპზე კი ჯგუფიდან გადვიდნენ და ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ეს კი დამოუკიდებელი ქართული ნაკრებების ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

ჩვენი სტუმარი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ამ მიღწევის უმთავრესი შემოქმედი, გუნდის მთავარი მწვრთნელი მასილ მაისურაძეა.

— თქვენ ის შეძელით, რაც სხვა მწვრთნელებს არანაკლებ ნიჭიერ თაობებთან არ გამოსდიოდათ. მაინც რაზე ააგეთ ეს წარმატება?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი ნამდვილად არაა. როგორც იცით, ეს გუნდი ორი წლის წინ ჩავიბარე და დროს სამუშაოდაც მქონდა და საფიქრალადაც.

საკმაოდ რთული გამოდგა სელექციის პროცესი. ჩვენი წარმატების უმთავრეს ქვაკუთხედად

კი სამართლიანობა მიმაჩნია. მე არ მყოლია და არ მყავს ფავორიტი ფეხბურთელი. ყველამ კარგად იცის, რომ ჩემთან არც ახლობლობა ჰქონდა და არც ძველი დამსახურებები. ძირითად შემადგენლობაში თამაში არავის აქვს გარანტირებული და მოედანზე გადის ის, ვინც კონკრეტულ მომენტში კონკურენტზე უკეთეს ფორმაშია.

დასახული მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ, პატივსაცემი მივდიოდით და ღმერთმა ეს შრომა წყალში არ ჩაგვიყარა.

— ყველა მშობელს ჰგონია, რომ მისი შვილი ფეხბურთს ყველაზე კარგად თამაშობს. დარწმუნებულები ვართ, ამბიციური მშობლების მხრიდან თქვენს საქმეში ჩარევას ექნებოდა ადგილი.

— მსგავსი ფაქტები მართლაც იყო. ეს საქართველო და მწვრთნელი ხშირად ხდება არასაკმარისი წინხი ქვეშ. ნამდვილად არ მსიამოვნებდა ასეთი სიტუაცია, მაგრამ, ვფიქრობ, წნეხს ბოლომდე გაგუქმე და ფეხბურთელებმაც გაათვითცნობიერეს, რომ ნაკრებში მოხვედრას დიდი შრომა და თავდადება სჭირდება და ყველაფერი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

— არადა, საქართველოს ნაკრებს თბილისური ელიტარული რომ ვერ დაეძლია, თქვენს საკადრო გადაწყვეტილებებს, ალბათ, ბევრი გააპროტესტებდა.

— ჩვენი ფინალურ ეტაპზე გასვლა მართლაც ცოტას სჯეროდა, მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდით. თუმცა რამდენიმე სპეციალისტმა ელიტარულამდე მითხრა, რომ საქართველოს ნაკრების წარმატებაში დარწმუნებული იყო.

— ის მოსაზრებაც გაუფრდა, თითქოს ამ ასაკში გუნდებს შორის სხვაობა შედარებით

მცირე იყო.

— ვერც ამ აზრს გავიზიარებ. ესპანელებს „რეალში“, „ბარსელონასა“ და „ავალესიაში“, ინგლისელებს კი „მანჩესტერ იუნიტედში“, „ჩელსისა“ და სხვა გრანდებში აღზრდილი ფეხბურთელები ჰყავდათ, მაშინ როცა ჩვენს ბიჭებს ელემენტარული სავარჯიშო პირობებიც კი არ გააჩნიათ.

— საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სათანადოდ ფიზიკურად და მწვრთნელის გარეშე გაემგზავრა. ითქვამს, რომ ამან კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევაში შეგვიშალა ხელი.

— სამწუხაროდ, ევროპელებამდე კიდევ ბევრი რამ გვიკლია, მათ ჩვენზე გაცილებით დიდი ფიზიკური რესურსი აქვთ... ნაკრებში ყოფნის დრო არ არის სრულფასოვანი ფიზიკური მომზადებისთვის საკმარისი, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობია. მაგალითად, ინგლისის ნაკრების მწვრთნელებმა გვითხრეს, რომ ნაკრებში ფეხბურთელებს მატჩამდე ოთხი-ხუთი დღით ადრე იძახებენ, რადგან კლუბებში მათ სრულფასოვნად ამზადებენ. ჩვენ კი ევროპულ პირობებამდე ძალიან ბევრი გვიკლია.

— როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი უახლოესი მომავალი? გააგრძელებთ ამ თაობასთან მუშაობას?

— დოგმა არ არის, რომ 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა მუშაობა 19-წლამდელთა გააგრძელოს, თუმცა რაღაც დაგვიმალოთ და დიდი სურვილი მაქვს, ამ ბიჭებს გავეყვ. განახოთ, რას გადაწყვეტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

— გაგრძელდა ხმები, რომ თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელობა შემოგთავაზეს...

— არა, მსგავსი რამ არ მომხდარა.

— საქართველოში ნაკრები ვერა და ვერ მოექცა ერთიან სისტემაში. ნუთუ ასეთი რთულია, რომ ეროვნულიდან მოყოლებული, ყველა ასაკობრივმა გუნდმა ერთნაირი ტაქტიკა-სტრატეგიით ითამაშოს?

— ეს საკვებით მიღწევადია და ჩემი აზრით, ეს ერთიანი სისტემა რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოყალიბდეს. დღეს ამის საშუალება გვაქვს და იმედია, კონკრეტულ შემდგომე უახლოეს პერიოდში მივაღწევთ. ვფიქრობ, დაუშვებელია, ნაკრები ერთი სტილით არ თამაშობდნენ.

— დღევანდელ ფეხბურთში ვეღარ ვხედავთ ტიპურ ათიანებს. როგორ ფიქრობთ, მათ გარეშე სანახაობამ არ იზარალა?

— ფაქტია, რომ ტიპური გამოთამაშებლების ერა წარსულს ჩაბარდა. ეს თანამედროვე მოთხოვნებამოტივანა. თუ ფეხბურთელს ბრძოლა და სირბილი არ შეუძლია, იგი ბურთს საერთოდ ვერ მიიღებს და, შესაბამისად, ვერც შეტევებს წამოიწყებს.

საკუთარი ნორმალურად მიმაჩნია, რომ „ათიანები“ მობილურმა ცენტრალურმა ნახევარმცველებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც დაცვით ფუნქციებსაც წარმატებით ასრულებენ და შეტევაშიც უნარიანად ერთვებიან. არ მგონია, რომ სანახაობას ამით რაიმე მოაკლდა.

— ამ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით: დარწმუნებული ვარ, ბიჭებს ეს წარმატება თავში არ აუვარდებოდა.

— ახლაც ასე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ მათ არ ეშუქრებათ. ჩემს ფეხბურთელებს კარგად ესმით, რომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მისვლა კარგია, მაგრამ ეს მათი კარიერის მხოლოდ დასაწყისია და წინსვლისთვის ძალიან ბევრი

შრომა სჭირდებათ.

ფეხბურთელთა პიროვნებად და ფეხბურთელად ჩამოყალიბებაზე კი მწვრთნელებმაც უნდა ვიზრუნოთ და მათმა ოჯახის წევრებმაც.

— აუცილებლად უნდა ვახსენოთ თქვენი ასისტენტების წვლილიც.

— დიდი სიამოვნებით. მე, მერაბ კაციტაძე და მეკარეების მწვრთნელი თემურ ჩარკვიანი კარგად შეგროვული გუნდი ვართ და მთელი ეს ორწლიანი პერიოდი ერთად ვავიარეთ. ეს ხალხი გუნდისთვის თავდაუზოგავად შრომობს და ასეთი თანადგომისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა.

ასევე ძალიან მადლობელი ვარ ნაკრების ტექნიკური და სამედიცინო პერსონალისა, რომელიც გვერდში ასევე ერთგულად გვიდგას.

— თქვენი ფეხბურთელების დაოსტატების ფაზა უფრო კლუბებს უკავშირდება, ვიდრე ნაკრებს. როგორ ფიქრობთ, აქვთ მათ ამ ფაზის სათანადო გარემოში გადგომის საშუალება?

— ეს პირდაპირ კავშირშია საქართველოს ჩემპიონატის დონესთან, რომელიც, სამწუხაროდ, არცთუ მაღალია. კარგი იქნება, თუ ისინი დროულად წავლენ ევროპულ საფეხურთ ქვეყნებში, თუ არადა დაოსტატება აქაც შეუძლიათ. დროა, ნელ-ნელა ეს ბიჭები უმაღლეს ლიგას გაუშინდნენ, თუმცა ისიც ნორმალური იქნება, თუ მომავალ სეზონს დუბლიორთა შემადგენლობაში გაატარებენ.

— მწვრთნელობა ფეხბურთელობის დროს უკვე გადაწყვეტილი გქონდათ?

— დიახ. ჯერ კიდევ 1999 წელს „ბენდელას თასზე“ ნაძალადევის გუნდს ვწვრთნიდი და სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს საჩემო საქმე იყო.

იუმორი

სომხეთის რადიოს ეკითხებიან: — რას ნიშნავს საქორწინო მანქანის თავზე დადგმული ორი ბეჭედი? — თავიდან ანგარიში ნოლით ნოლია.

სატელეფონო ზარი: — საიდან არის? — ფეხსაცმელების მადანია. — უკაცრავად, ნომერი შემეშალა... — არა უშავს, მოიტანეთ და გამოვიცვლით!

ორი სვანი ცხენებს იყიდიან და ფიქრობენ, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან. ერთი ეტყვის მეორეს: — მოდი კუდეები დავაჭრაოთ. დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მაინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყურებსაც მარჯრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის: — მოდი, მაშინ თეთრი შენი იყოს და შავი — ჩემიო.

სამი მეგობარი საუბრობს. ერთი იბახის: — მე დედის თვლები მაქვს. — მე მამის ცხვირი. — მე ძმის ტრუსი მაცვია.

სკოლაში შრომის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს უსაფრთხოების დაცვის წესებს ასწავლის: — უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მთავარი წესია, თითები დენის წყაროში არ შეჭყოთ!!! — მასწავლებლო, თითები იქ ხომ არ ეტყვა? — უტყვინო, ღურსმნებით სცადე?

სოხაჰის ბინიდან პოლიციამ 2 მლნ ევრო ამოიღო



სამართალდამცავებმა რუსი ჟურნალისტის, ქსენია სოხაჰის ბინის ჩხრეკისას 2 მლნ ევრო ამოიღეს. სოხაჰის ბინის ჩხრეკა ბოლოტნიას მოედანზე არეულობის გამოძიების ფარგლებში განხორციელდა.

„ბინის ჩხრეკისას დაახლოებით 100 000 ევრო და დოლარი აღმოაჩინეს, სივრცეში კიდევ მინიმუმ 1,5 მლნ ევრო ინახებოდა, ფული ისევ გადასხვა კონვერტებში იყო გადაწეული. მთლიან თანხას ამჟამად ითვლიან. რისთვის ინახავდა სოხაჰი ამდენ ფულს სახლში, გამოძიება გაგრძელდება. კარზე ახალი ოპოზიციური მიტინგის მომდგარი“, — ევება სააგენტო Life News-სთან ერთ ერთი სამართალდამცავი, რომელიც ჩხრეკისას ჟურნალისტის ბინაში იმყოფებოდა და ანონიმად

დაჩენა ისურვა.

ამჟამად გამოძიება თანხის წარმომავლობას იკვლევს. თავად ქსენია სოხაჰა მისი ბინიდან 2 მლნ ევროს ამოღება დაადასტურა. „ეს ჩემი პირადი ფულია, ნახევრად შიშველი ვიყავი ბინაში რომ შემოვიდნენ და ჩაცმის საშუალებაც არ მომცეს, ყველაფერი თავდაყირა ამოაბრუნეს“, — განაცხადა ჟურნალისტმა.

სამართალდამცავები სოხაჰის ბინაში, ტვერ-კიამსკის ქუჩაზე 11 ივნისს მივიდნენ. სოხაჰა განაცხადა, რომ მას უწყება გადასცეს. იგი პოლიციაში აუცილებლად უნდა გამოცხადდეს.

საკაშვილის ხელისუფლებამ ერთი-ვაი-ვიში ასტეხა ამ საქმის გარშემო და რუსეთის ხელისუფლება მოქალაქის ბინაში უკანონოდ შეჭრაში დაადასტურა. ეს კი თავისთავად ადრევე ეჭვს, რომ ამ ფულის წარმომავლობა იმ ხალხს უკავშირდება, რომელთა გამოაშკარავება ნამდვილად არ აძლევს ხელს „ნაცებს“.

იქნებ ისიც გაიხსენოს სააკაშვილის ხალხმა, როგორ დაეჩაფიქრა მათმა ზონდერებმა „ქართუ-ბანკის“ საინკასაციო მანქანა. იქნებ მაშინ მაინც შერცხვოთ უკანონო ქმედებების სხვებისათვის გადაბრალდება.

ბალათურია ჯაიფის ანაბურაის „ელიტური კორუფციის დაქვემდებარებული“ ვიდეორეგისტრაცია გადის

მოკლედ, „ბიბლის ჭიად“ ექცა პარლამენტარი ჯონდი ბალათურია მისიელი სააკაშვილის — ჯერ იყო და პარლამენტში მოწვეულ სააკაშვილს მისი ოჯახის წევრების ელიტურ კორუფციაში მონაწილეობის ფოტოები აუფრიალა ცხვირწინ და პარლამენტის დარბაზიდან გააქცია.

ახლახან კი, „ქართული დაისი“ ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ ნატოს სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აბატურაის შესხვედრაზე ვიდურონაწევრები გადასცა, რომელიც მისი თქმით, ქვეყანაში ელიტურ კორუფციას ადასტურებს, — ამის შესახებ შესხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ჯონდი ბალათურიამ განუცხადა.

მისი თქმით, შესხვედრაზე საუბარი შეეხო მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, ასევე იმას, რომ ქვეყანაში არ არის დემოკრატიული

სისტემა, არ არსებობს თავისუფალი მედია და მედია არის ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ, ხოლო ცენტრალური არხები ხელისუფლებისგან კონტროლდება.

„ჯეიმს აბატურაის მე პირადად გადავეცი ოფიციალური დოკუმენტური მასალა, ასევე ვიდურონაწევრები, რომელიც ქვეყანაში ელიტურ კორუფციას ადასტურებს. ასევე ადასტურებს იმას, რომ არ გვაქვს დემოკრატიული სისტემა და მედია და თავისუფალი პოლიტიკური სისტემა განიცდის ძლიერ ზეწოლას“, — განაცხადა ჯონდი ბალათურია.

